



ბათუმის უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №9, ნოემბერი, 2011.

საერთაშორისო სიმპოზიუმი გამოყენებითი ანთროპოლოგიის აქტუალურ საკითხებზე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტისა და ფონდ «ფოლკსვაგენის» ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსნა თემაზე: „სახელმწიფოსა და სამართლებრივი პრაქტიკის გამოცდილება კავკასიაში — ანთროპოლოგიური პერსპექტივები კანონსა და პოლიტიკაში“. საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებითი ანთროპოლოგიის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება და ხელს შეუწყობს იურიდიული და პოლიტიკური ანთროპოლოგიის პოპულარიზაციას. ქართველი, გერმანელი, ინგლისელი, უნგრელი, პოლონელი, რუსი ანთროპოლოგები სამი დღის განმავლობაში კვლევების მეთოდებს, სასწავლო და კვლევით პროცესებში სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ანთროპოლოგების ჩართვასა და დარგის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ.



ბალღიაში ტემპუსის პროექტის ნარეზი

ქალაქ გენტში პროექტის „უნივერსიტეტი-სანარმო თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების გზით სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში“ პირველი საორგანიზაციო შეხვედრა გაიმართა. პროექტში მონაწილე რსუ-ს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სომხეთის, უკრაინის, ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა სამომავლო გეგმები და ერთობლივი პროექტები განიხილეს. შეხვედრაზე პროექტის კოორდინატორმა, ასოცირებული პროფესორმა ლელა თურმანიძემ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, სტრუქტურა, შესაძლებლობები, გამოწვევები წარადგინა და საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში დამსაქმებლების ჩართვაზე ისაუბრა. პროექტი ითვალისწინებს ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებას, პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში ცენტრებისა და ბიზნესის განვითარების დახმარებას.



დიაბეტის დღე აღინიშნა



განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა დიაბეტის დღე რამდენიმე ღონისძიებით აღნიშნეს. ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის წევრებმა კლინიკური თერაპიის დეპარტამენტის მხარდაჭერით უმაღლესი სასწავლებლის 100 პროფესორ-მასწავლებელს დიაბეტზე სკრინინგი ჩაუტარეს და ოთხი დაავადებული გამოავლინეს. აქციის ფარგლებში გაიმართა დიაბეტის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მომავალმა ექიმებმა მოხსენებები დაავადების სპეციფიკაზე, გამომწვევ მიზეზებზე, პრობლემებზე,

მისი მართვისა და მკურნალების მეთოდებზე წარმოადგინეს. დიაბეტის დღე მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ და დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციამ 1991 წელს დააარსეს. სტატისტიკური მონაცემებით, სამიში სწეულებით 300 მილიონი ადამიანი დაავადებული.

სახელმძღვანელოების პრაქტიკაში



საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების ეთერ ნიჟარაძისა და ნორა მამულაშვილის სახელმძღვანელოს „ნავთობისა და გაზის ქიმია“ და ეთერ ნიჟარაძის მონოგრაფიის „ციტრუსის წვენი ფალსიფიკაციის პრობლემა და მისი მოგვარების მეთოდები“ პრეზენტაცია ჩატარდა. ნიგნში „ნავთობისა და გაზის ქიმია“ მოცემულია ნავთობისა და გაზის გადამამუშავების ძირითადი თერმული, თერმოკატალიზური პროცესები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დამხმარე სახელმძღვანელოში „ციტრუსის წვენი ფალსიფიკაციის პრობლემა და მისი მოგვარების მეთოდები“ აღწერილია ავტორის მიერ შემუშავებული ციტრუსის წვენის ანალიზის მეთოდები, რომლებიც აპრობირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო — კრიმინალურ განყოფილებაში და რეკომენდებულია საარბიტრაჟო პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

გერმანიის კობლენს-ლანდაუს უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროგაერთიანების პროგრამის „ტემპუსის“ „PICQA — ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“ კოორდინატორი, გერმანიის კობლენს-ლანდაუს უნივერსიტეტის ათაკაციანი დელეგაცია ეწვია. ორდღიანი ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო და თანამშრომლობის ხელშეწყობასა და ერთობლივი საგანძობო პროექტების შემუშავებას ისახავდა მიზნად. რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა გერმანელ კოლეგებს უნივერსიტეტის ისტორია, პრიორიტეტები, საგანმანათლებლო-კვლევითი პროგრამები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააცნეს. რექტორის მოადგილესთან, ირაკლი ბარამიძესთან გამართულ შეხვედრაზე უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტმა რომან ჰაილგენტალმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.



ნიგნის „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“ ნარეზი



შოთა რუსთაველის დარბაზში პროფესორების იური ბიბილიევილისა და ლელა თავდგირიძის წინაშე „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“ ნარეზი გაიმართა. დამხმარე სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო სწავლების, აღზრდისა და განათლების საკითხებს ეძღვნება. მასში აღწერილია სტუდენტთა სწავლებისა და აღზრდის ტრადიციული, თანამედროვე მეთოდები, ტექნოლოგიები და ინოვაციები. სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. ერთობლივი ნაშრომი განკუთვნილია დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის კომპლექსი

კონფერენციას, რომელიც დიდ ბრიტანეთში — კემბრიჯის უნივერსიტეტში გაიმართა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორასამდე წარმომადგენელთან ერთად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი მალხაზ ნაკაშიძე ესწრებოდა. მისმა პრეზენტაციამ სხვა მონაწილეების დაინტერესებაც გამოიწვია. ვიზიტი ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორისთვის მავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

— ბატონო მალხაზ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ იმყოფებით დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტში და მონაწილეობა მიიღეთ სამეცნიერო კონფერენციაში. ვისი მიწვევით აღმოჩნდით იქ და რა საკითხებს ეძღვნებოდა იგი?

— მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა აუცილებელია ჩვენი პროფესიული განვითარებისათვის და ბევრი ჩემი კოლეგა მონაწილეობს მსგავს კონფერენციებში. ასე რომ ეს შემთხვევაც არ არის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის, თუმცა ვინაიდან დაინტერესდით ამ საკითხით, დიდ მადლობას მოგახსენებთ. ეს კონკრეტული კონფერენცია 2011 წლის 20-22 სექტემბერს დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტში, გაიმართა. ეს გახლდათ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „Central Asia: a maturing field“, რომელიც ორგანიზებული იყო ცენტრალური აზიის სწავლებათა ევროპული საზოგადოების (ESCAS) მიერ. ეს ორგანიზაცია



ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“



დასრულდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პირველობა ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“. ფაკულტეტის თასის მოსაპოვებლად სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 100-ზე მეტი სტუდენტი იბრძოდა. პირველობა 20 მონაწილე გუნდს შორის რსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის გუნდმა „ეპისტემ“ მოიპოვა. მეორე ადგილიც ამავე ფაკულტეტის გუნდმა „გრინჩიმ“ დაიკავა, ხოლო მესამე საპრიზო

ადგილის მფლობელი საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის გუნდი გახდა. გამარჯვებული მოთამაშეები თასითა და სიგელებით დააჯილდოვდნენ.

ბათუმთან დაეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული

სასტუმრო „რედისონში“ ბათუმთან დაეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული ფესტივალი გაიხსნა. ღონისძიება სტუდენტთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება და მასში ჩართული არიან დამეგობრებული ქალაქების (იალტა, ვანაძორი, კუშდასი, ტერნოპოლი, მარბელა, ტრაპიზონი) ახალგაზრდები და ახალგაზრდული შემოქმედებითი ჯგუფები. ფესტივალი ქალაქ ბათუმის მერმა რობერტ ჩხაიძემ, რსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ, ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელმა თამაზ დარჩიძემ და სიმფეროპოლის უნივერსიტეტის პრორექტორმა ვლადიმერ კაზარინმა გახსნეს. კვირეულში სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობენ. ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული მიზნად ისახავს ნიჭიერი ახალგაზრდების გაცნობას, გამორჩეული სტუდენტების წარმოჩენას, სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერასა და კულტურული კავშირების გაღრმავებას.



ევროკომისიის 2011 წლის საგრანტო პროექტების ანგარიში



ERASMUS MUNDUS-ისა და TEMPUS-ის პროექტების კოორდინატორმა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ლელა თურმანიძემ უნივერსიტეტის რექტორს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლებს ევროკომისიის 2011 წლის საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტების ანგარიში წარუდგინა. კოორდინატორმა შეხვედრაზე კოლეგებს ასევე გააცნო Erasmus Mundus Action 2 Lot 7 ALRAKIS — აკადემიური გაცვლის პროგრამის მიზნები, პრინციპები, კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტები, კონკურსში მონაწილეობის მსურველთა შერჩევისა და საგრანტო პროექტების განხორციელების პირობები. ხელშეკრულების თანახმად, მოხილვის პროცესი 2012 წლის გაზაფხულიდან დაიწყება.

ამერიკული განათლების დღე



საერთაშორისო განათლების ცენტრის ორგანიზებით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული განათლების დღე გაიმართა. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებმა თეა კუჭუხიძემ, თამარ ქარჩავამ, ეკა ყუფუნიაშვილმა და თეონა დალაქიშვილმა სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და საჯარო სკოლის მოსწავლეებს ამერიკის შეერთებული შტატების გაცვლითი პროგრამები და უცხოეთში სწავლის პირობები გააცნეს. საერთაშორისო განათლების ცენტრის პროექტები ბათუმის ოფისის ხელმძღვანელმა ნინო ინაიშვილმა წარმოადგინა. ასევე შედგა ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტის პრეზენტაცია და დისკუსია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე.

პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი



ბათუმის გუნდი

სულ ამ მეოთხედფინალში საქართველოდან იასპარეზა 31-მა გუნდმა. აქედან 6 მუშაობდა ბათუმში, ხოლო დანარჩენი 25 კი თბილისში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის გუნდები საკმაოდ კარგად გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში. აი ისინიც:

პირველი გუნდი (Batumi SU 1) ბერიძე ბესიკ — კომპიუტინგის სპეციალისტის III კურსი ჯინჭარაძე ელზა — კომპიუტინგის სპეციალისტის III კურსი ბერიძე გიორგი — კომპიუტინგის სპეციალისტის III კურსი


შაბათს, 29 ოქტომბერს, ერთდროულად ბათუმში- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ჩატარდა უმაღლესი სასწავლებელთა შორის პროგრამირებაში 2011-2012 წლების სეზონის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი საქართველოს რეგიონისათვის. ბათუმში თავი მოიყარა პროგრამისათვის გუნდებმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

მეორე გუნდი (Batumi SU 2) სირაბიძე ნუკრი — მაგისტრანტი იმნაიშვილი გიორგი — მაგისტრანტი დიდმანიძე მარინა — მაგისტრანტი მწვრთნელი- ასისტენტ პროფესორი გრიგოლ კახიანი ხელმძღვანელი — პროფესორი იბრაიმ დიდმანიძე მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი საქართველოს რეგიონისათვის ტარდება 2004 წლიდან. ამ ღონისძიების დანიშნულებაა შეირჩეს გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისათვის. ნახევარფინალში, რომელიც ჩატარდება

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 25-29 ნოემბერს, მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ბათუმის ორივე გუნდმა.

ღონისძიების ყოყორის თავმჯდომარე უცვლელად არის ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ბატონი ჰამლეტ მელაძე, ხოლო ღონისძიების დირექტორია ქართული უნივერსიტეტის პროფესორი თეოდორე ზარქუა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბის ღონისძიებების ნორმალურად ჩატარება შეუძლებელია მასპინძელი უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის მხარდაჭერის გარეშე. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ყურადღება, რასაც მუდმივად ავლენენ მსგავსი ღონისძიებების მიმართ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიომა ბაკურიძე, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფესორი მარინა ქორიძე, დეკანის მოადგილე ფიზიკა, მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით დინარა ფაღავა, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი ანზორ ბერიძე.



ბათუმის გუნდი

მა ორგანიზებულად ჩაიარა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორებს გრიგოლ კახიანსა და მიხეილ დონაძეს.

დიდი მადლობა ყველას ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ამ ღონისძიების ნორმალურად ჩატარებაში.

იბრაიმ დიდმანიძე
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ოლიმპიადის ტექნიკური დირექტორი

31 ოქტომბერი შავი ზღვის დასვის დღე შთაბეჭდილებების პირველი კონფერენსიდან

საზოგადოებაში დღეს ძალიან აქტიურად რია გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, რომლის მოგვარებასაც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც ცდილობენ. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება შავი ზღვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენციები, სადაც ზღვისა და ზოგადად გარემოს შესახებ ქვეყნდება მონაცემები.

წელს, ასეთ კონფერენციაში, რომელსაც ორგანიზებას უწევდნენ ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. დავით ბარათაშვილი, სრული პროფ. რუსუდანი ხუბუნაშვილი და დეპარტამენტის

სპეციალისტი თეა ქოიავა, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო მიმართულების I კურსელებიც ემონაწილეობდით. როცა კონფერენციის შესახებ გვაცნობეს, დიდი ენთუზიაზმით მოვეკიდეთ საქმეს ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელებთან ერთად. ძალიან საინტერესო იყო თემებზე მუშაობის პროცესი, მაგრამ 30 ოქტომბერს, როცა უშუალოდ უნდა გვესაუბრა აუდიტორიასთან, მღელვარებამ იმატა, ვინაიდან ეს იყო ჩვენი პირველი საჯარო გამოსვლა სტუდენტის ამპლუაში.

სულ 6 თემა იქნა წარმოდგენილი, რომელთა შორისაც ბიოლოგიისა და ეკოლოგიის III კურსის სტუდენტთა კომპეტენტურმა ჟი-

ურიმ საუკეთესოდ დაასახელა თეა ქოიავას ხელმძღვანელობით მომზადებული თემა: „ანთროპოგენური ზეგავლენა შავ ზღვაზე“, ხოლო ყველაზე ორიგინალურ ნაშრომად შეფასდა მედეა ბერიძის ნაშრომი „საზოგადოებრივი აზრი შავ ზღვაზე“. რაც შეეხება სხვა თემებს, ესენი გახლდათ: სოფო გოგმაჩაძის „ანტიკური შეხედულებები შავი ზღვის შესახებ“, ივანე ივლიძის „ზღვის დელფინი-აფალინა“, ლალი ჟღენტის „შავი ზღვის დაუპატიჟებელი სტუმრები“ და ნინო ქედელიძის „რაპანის შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემა და ძვირფასი რესურსი“. ზოგიერთ მონაწილეს სიგელი გადაეცა საუკეთესო პრეზენტაციისთვის, დანარჩე-

ნებს კი ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლებს, მათ დადებითად შეაფასეს ჩვენი მუშაობა და წარმატებები გვისურვეს მომავალ საქმიანობაში. ჩვენ კი შევეცდებით, ყოველთვის ვიზრუნოთ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისთვის.

ნათია ცინარიძე
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მიმართულება, I კურსი



შთაბეჭდილება კემბრიჯის უნივერსიტეტიდან

დასაწყისი 1-33.

— რომელი ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონფერენციაში და თქვენ გარდა საქართველოდან სხვაც ხომ არ ყოფილა?

— პირველ რიგში, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მომეცა საშუალება ასეთ მნიშვნელოვან ფორუმზე წარმომადგენელი ჩემი უნივერსიტეტი. კონფერენცია საკმაოდ ფართო წარმომადგენლობით გამოირჩეოდა, მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი. საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობდა ასევე საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი მანანა სანაძე და ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი გიული ალასანია. მათ წარმოადგინეს მოხსენებები თავიანთი სპეციალობების მიხედვით. დიდი რაოდენობით მონაწილეების გამო, კონფერენცია დაყოფილი იყო სექციებად. მაგალითად, მუშაობდა ისეთი სექციები, როგორცაა: ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო ურთიერთობები, ანთროპოლოგია, ისტორია, ენა და ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება და არქეოლოგია, მმართველობა და პოლიტიკური განვითარება, განათლება, კვლევები და მედია. კონფერენციის მონაწილეებს თავიდანვე განსაზღვრული გვექონდა თუ რომელ სექციაში მივიღებდით მონაწილეობას. თუმცა ასევე საშუალება გვექონდა თავისუფლად მიგველო მონაწილეობა სხვა სექციების მუშაობაში ჩვენი ინტერესის შესაბამისად.

— თქვენ რა საკითხზე გქონდათ პრეზენტაცია კონფერენციაზე და რამდენად საინტერესო იყო ის სხვა მონაწილეებისათვის?

— კონფერენციაზე გავაკეთე მოხსენება, რომელიც უკავშირდებოდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მმართველობის სისტემას, რომელიც ასევე აქტუალურია ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის. კონფერენციაზე წარმოვადგინე თემა: „სუსტი პარლამენტები და პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია მონაწილეებს შორის, განსაკუთრებით 2010 წელს საქართველოში განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის კონტექსტში, რაზედაც ყურადღება გვექონდა გამახვილებული.

— აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როგორც კონფერენციის ორგანიზატორებმა განგვიცხადეს, კონფერენციის მასალები შესაძლებელია გამოიცეს. ამდენად, ესეც არის გარკვეული დადებითი შედეგი ჩემთვის.

— გარდა კონფერენციაში მონაწილეობისა, სხვა რით იყო ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი თქვენთვის, როგორც უნივერსიტეტის პროფესორისათვის?

— ეს ვიზიტი რამდენიმე თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი ჩემთვის. პირველ რიგში კონფერენციაში მონაწილეობამ საშუალება მომცა ჩემი სამეცნიერო მუშაობის შედეგები წარმედგინა ავტორიტეტულ

ლი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების წინაშე, მომესმინა მათი მოსაზრებები და წინადადებები, რაც ვფიქრობ, ძალიან ღირებულია აკადემიური განვითარებისათვის. სიმართლე უნდა ითქვას, რომ დასავლეთში ჩვენი კოლეგები ჩვენზე ბევრად მაღალ კვალიფიკაციას ფლობენ სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. ამას, რა თქმა უნდა, სუბიექტურთან ერთად, აქვს გარკვეული ობიექტური მიზეზებიც. თუნდაც ეს არის ჩვენში არსებული კვლევის საბჭოური სტილი და ნაკლები გამოცდილება ამ სფეროში. თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი სფერო კი საკმაოდ დინამიკურად ვითარდება და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მეტი გა-



მოცდილება შევიძინო თანამედროვე კვლევის მეთოდებში. ამის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე კვლევით სფეროში მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა.

მეორე მხრივ, ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ საშუალება მომეცა საქმიანი კონტაქტები დამემყარებინა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და კვლევითი დანერგვების ექსპერტებთან, რაც საფუძველი შეიძლება გახდეს ამ სპეციალისტებთან არა მარტო პირადად ჩემი, არამედ ჩვენი ფაკულტეტის და შესაძლებელია ჩვენი უნივერსიტეტის მომავალი თანამშრომლობისათვის.

გარდა ამისა, კონფერენციის ფარგლებში შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი საინტერესო ლიტერატურას სპეციალურად კონფერენციისათვის მოწყობილ ნიგნების გამოფენაზე. ამასთან ერთად ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კემბრიჯში ყოფნისას საშუალება მომეცა მომენახულებინა კემბრიჯის უნივერსიტეტის ნიგნების მალაზია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი მალაზიაა. აქ ნიგნები იყიდება 1581 წლიდან. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა შემეძინა მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული

გამომცემლობის „Cambridge University Press“ მიერ გამოცემული ლიტერატურა ჩემს სპეციალობაში. ეს არის უახლესი ლიტერატურა ამ დარგისათვის, რომელიც სარგებლობენ დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში და ასეთი მასალების შექმნა საქართველოში შეუძლებელია.

— რა შეგიძლიათ თქვათ თვით კემბრიჯის უნივერსიტეტის შესახებ, რა შთაბეჭდილება მოახდინა მან თქვენზე, როგორც უნივერსიტეტის პროფესორზე?

— მინდა გითხრათ, რომ კონფერენციის ძალიან გადატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო, არ მქონდა შესაძლებლობა დეტალურად გავცნობოდი უნივერსიტეტის სტრუქ-

ტანეთის პრემიერის, ცნობილი პიროვნების უინსტონ ჩერჩილის პატივსაცემად შეიქმნა და 1960 წლიდან ფუნქციონირებს. ჩერჩილის კოლეჯში სწავლობს 450 სტუდენტი ბაკალავრიატის საფეხურზე, 280 მაგისტრატურის საფეხურზე, კოლეჯში მუშაობს 150-მდე მკვლევარი და 140-მდე თანამშრომელი. რაც ყველაზე აღსანიშნავია, კოლეჯი ცნობილია თავისი ძალიან კარგად განვითარებული საკონფერენციო ინფრასტრუქტურით. კოლეჯის ტერიტორიაზე ყველაზე პირობა არის შექმნილი მაღალი დონის კონფერენციების, ტრენინგებისა და შეხვედრების მოსაწყობად. კოლეჯს გააჩნია კარგად ორგანიზებული კამპუსების სისტემა, რომელსაც შეუძლია მიიღოს 400-მდე სტუდენტი. სწორედ ამ კამპუსებში ვიცავით დაბინავებული კონფერენციის მონაწილეები და ყველაზე პირობა გვექონდა შექმნილი მუშაობისა და დასვენებისათვის. ამდენად, მრავალი თვალსაზრისით მივიღე გამოცდილება კემბრიჯის უნივერსიტეტში ყოფნისას როგორც უნივერსიტეტის პროფესორმა.

— თქვენი აზრით, რამდენად აქვთ შესაძლებლობა დღეს ქართველ მეცნიერებს გაემგზავრონ საზღვარგარეთ და მიიღონ მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში?

— ვფიქრობ, დღეს ქართველ მეცნიერებს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ გაემგზავრონ საზღვარგარეთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში, ამაღლონ კვალიფიკაცია, ვიდრე ეს იყო შესაძლებელი მაგალითად, 10 ან თუნდაც 5 წლის წინ. აქ მნიშვნელოვანია ორი საკითხი — დაფინანსება და უცხო ენის ცოდნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საქართველოში არსებობს ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მხარდაჭერაც და საქართველოში უკვე მუშაობს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მხარდაჭერას უცხადებს აკადემიურ პერსონალს აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში. მაგალითად, საქართველოში მოქმედი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი გასცემს ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებს მეცნიერებისათვის, რაც ნამდვილად დიდი ხელშეწყობაა მეცნიერებისათვის, რომლებსაც სურთ გაემგზავრონ საზღვარგარეთ. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ჩემი აზრით ექმნება ქართველ მეცნიერებს (არა ყველას, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილს), არის ენის ბარიერი. ინგლისური ენის (ან სხვა ევროპული ენის) ცოდნა არის აუცილებელი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. სხვაგვარად ძალიან რთულია იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომელსაც თანამედროვე გლობალური სამეცნიერო სივრცე სთავაზობს ქართველ მეცნიერებს. ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ, მეც მაქვს გარკვეული პრობლემები, ვინაიდან გასულ წლებში საკმარისი დრო არ მქონდა ამ კუთხით საკუთარ თავზე მუშაობისათვის. ამჟამად კი ინტენსიურად ვცდილობ გავიღრმავო ინგლისური ენის ცოდნა, რათა უფრო მეტი შანსი მქონდეს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

კურსის ტუტორი და ლექტორი



ქალბატონი, რომელიც შემკულია ყველა ღირსებით: მზრუნველი, თბილი, ყურადღებიანი და რაც ყველაზე მთავარია, პროფესიონალი იმ საქმისა, რომელსაც ემსახურება. ეს არის ქალბატონი, რომელიც ყოველთვის მზად არის დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ის ყოველთვის ცდილობს მოგვანოვოს ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ყოველთვის ინტერესდება, ითვისებს და გულთან მიაქვს ის

პრობლემები, რომლებიც ჩვენ გვანუხებს და მაქსიმალურად ცდილობს დაგვეხმაროს მათ მოგვარებაში.

ქალბატონი დარეჯანი — ეს არის ადამიანი, რომელიც უბადლოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს არის ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს თესავს. არ მეგულება თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ქალბატონი დარეჯანით თუნდაც მცირედით უკმაყოფილოა.

პირადად ჩვენ, დანაყოფითი განათლების სპეციალისტების III კურსს, გაუთავებლად შეგვიძლია ვისაუბროთ ქალბატონი დარეჯანის მზრუნველობაზე ჩვენი კურსის მიმართ. მას შემდეგ რაც პირველად შევდგით ფეხი უნივერსიტეტში, ჩვენს მიმართ გამოხატავს დედობრივ მზრუნველობას და სითბოს. ის ჩვენთვის არა მხოლოდ ლექტორი

და ტუტორია, არამედ ნამდვილი მეგობარი, რომელსაც შეგვიძლია ნებისმიერი ჩვენი პრობლემა თუ გულისტკივილი გულახდილად გავანდოთ.

ჩვენი კურსი უსაზღვროდ მადლიერია ამ უდიდესი სითბოსთვის, რომელიც 3 წლის განმავლობაში არ მოგვკლებია ქალბატონი დარეჯანის მხრიდან.

ამ უდიდესი მადლიერების გამოსახატად ჩვენს კურსს რა შეგვიძლია გარდა იმისა, რომ ამ პატარა, მოკრძალებული ნერილით მოკრძალებული მადლობა გადავუხადოთ მას.

ქალბატონო დარეჯან, დღევანდელმდღეს და სულელოდ მხნეობას გისურვებთ. ღვთის მადლი ნუ მოგკლებოდათ.

თქვენი საუკუნოდ მადლიერნი დაწყებითი განათლების III კურსი

დარეჯან გელაძე — ასისტენტ პროფესორი, დანაყოფითი განათლების III კურსის ტუტორი და ლექტორი, და უბრალოდ



გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ რედაქციას



მოგესალმებით ევროპის შუაგულ – უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტიდან! მინდა თქვენი მეშვეობით მივულოცო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს,

პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას იურიდიული ფაკულტეტის 20 წლის იუბილე. დარწმუნებული ვარ, ამ პერიოდის მანძილზე მიღწეული წარმატებები, სიამაყის გარდა, კიდევ უფრო სრულყოფისა და დასახული მიზნების რეალიზების საწინააღმდეგოა.

ადრეული ასაკიდანვე ჰუმანიტარული საგნებისადმი ჩემმა ღრმა ინტერესმა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაღალმა რეპუტაციამ, თავიდანვე განსაზღვრა ჩემი არჩევანი და მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ არჩევანში ნამდვილად არ შევცდარავარ. პირიქით, პროფესორ-მასწავლებლების მაღალმა აკადემიურმა ხარისხმა, სტუდენტურ და სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართულობის აქტიურმა დონემ მომცა შესანიშნავი საშუალება მიმელო ის გამოცდილება, რაც ასე აუცილებელია სწავლის შემდგომ საკუთარი თავის რეალიზებისათვის.

იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დამთავრებულ კურსზე, 2007 წელს, შევიტანე განაცხადი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. საკონკურსო შერჩევის წარმატებით გავლის შედეგად ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტისგან მივიღე სრული დაფინანსება. მიუხედავად მაღალი აკადემიური მოთხოვნებისა და ჩემთვის ახალი ამერიკული სწავლების მოდელისა, შევძელი პროგრამის წარჩინებით დამთავრება და 15 სხვადასხვა ქვეყნის 50 სტუდენტს შორის მოწინავე ხუთეულში დამკვიდრება. რა თქმა უნდა, ამაში ბათუმის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილებაც დამეხმარა.

მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ შემოთავაზებდა მივიღე და დავრჩი სამუშაოდ ბუდაპეშტში — 2008-09 წლებში ვიყავი კომპანია „შტამფორდ Global-ის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის აღმასრულებელი კონსულტანტი, ხოლო 2009 წლიდან ვარ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სტუდენტთა რეკრუტირების მენეჯერი. ხშირი სამსახურებრივი მივლინებებით ვარ ნამყოფი მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში.

კვლევითი უნარ-ჩვევები, რომლებიც ჯერ კიდევ ბათუმის უნივერსიტეტში სწავლისას შევიძინე, დღესაც მენიჭება მივალწი სხვადასხვა სერიოზულ წარმატებებს. მაგალითად, ჩემი სამეცნიერო ნაშრომები გამოიცა აშშ-ში, გერმანიასა და რუმინეთში. 2011 წლის თებერვლიდან მუშაობის პარალელურად სწავლას ვაგრძელებ Executive MBA პროგრამაზე, რაც ვფიქრობ კარგი შეჯამება იქნება ჩემი ჰუმანიტარულ სფეროში მიღებული განათლებისა და ბიზნეს

სფეროში მოღვაწეობის გამოცდილებისა. დასასრულს, მინდა აღვნიშნო ყველაზე დიდი ცოდნა, რაც შევიძინე ბათუმის უნივერსიტეტში სწავლისას და რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა იურიდიული ფაკულტეტი — ეს არის ადამიანური ურთიერთობები სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. საგაზეთო სივრცის სიმციროს გამო ვერ შევძლებ ყველას ჩამოთვლას და არ მინდა რომელიმე გამომჩინე, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ მახსოვს და ვაფასებ თითოეული ლექტორის ღვაწლს და მათგან მიღებულ ცოდნას. ასევე, მინდა პროფესიული წარმატებები ვუსურვო ჩემს თანაკურსელებს, რომლებთანაც უცხოეთში ყოფნის მიუხედავად, დღესაც ვინარჩუნებ მჭიდრო კავშირს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ იურიდიული ფაკულტეტის 20 წლის იუბილეს და გისურვებთ შემდგომ დიდ წარმატებებს!

პატივისცემით,
სამართალმცოდნეობის სპეციალობის კურსდამთავრებული (2002 — 2007 სასწავლო წლების კურსი) დავით მიქელაძე

*ბუდაპეშტი, უნგრეთი
2011 წლის 26 ოქტომბერი.*

უსწოგი ავტორის „მოკლე რეტორიკა მინა მჭევრმეტყველება“

უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრმეტყველება“ „ხელად სახმარი,“ პრაქტიკული დანიშნულების წიგნია. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ეკლესიის სინოდზე დაქვემდებარებას მოჰყვა კათოლიციზმის დევნა. ქართველმა კათოლიკეებმა ევროპის სხვადასხვა კუთხეში დააარსეს მონასტრები და საგამომცემლო საქმიანობას მიჰყვეს ხელი. ერთ-ერთი ასეთი კერა ყოფილა ვენეციაში. პეტრე ხარისჭირაშვილის კონსტანტინეპოლში დაუარსებია მონასტერი, ანთუან გვიზალიანის სტამბაში შეუქმნია ქართული შრიფტი და წიგნების ბეჭდვა დაუწყია. აქვე 1879 წელს დაუბეჭდავთ „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრმეტყველება“.

წინამდებარე წიგნს სტამბულის კათოლიკური ეკლესიის საცავში მიაკვლია ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა გულ შერვაშიძემ. მან განიზრახა ძველის ფილოსოფიური ასპექტით შესწავლა. ლინგვისტებს ჯერ ცალკეული ტერმინების განმარტება, შემდეგ კი ლექსიკონის შედგენა გაუხიზნა. ჩვენთვის ეს ხელნაწერი საინტერესო აღმოჩნდა არამარტო ფილოსოფიური და გრამატიკული ტერმინოლოგიის განვითარების თვალსაზრისით, არამედ გრამატიკისა და სტილისტიკის ბევრი საჭირობო საკითხის დასმით.

მოკლე რეტორიკა პრაქტიკული დანიშნულების წიგნი გახლავთ. წინასიტყვაობიდან ნათლად ჩანს ამგვარი წიგნების ნაკლებობა და მათი საჭიროება. „დღემდინ არ ყოფილა რიგიანი ხელად სახმარი მჭევრმეტყველების წიგნი დედაენაზე და რომ არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რათა საზოგადოებას მისცემოდ რამე საშუალო სწავლის გადვილებსა“ — აქედან ჩანს წიგნის შემდგენლის თუ რედაქტორის მიზანი — ახალგაზრდობისათვის სწავლის გადვილება.

წინამდებარე წიგნს სწავლულ პირთა მიზანძვით ძველი ქართული წერილებიდან, ასევე იოანე ოქროპირისა და რომაელ მწერალთა, ასევე ქართველ კლასიკოსთა ნააზრევებიდან გამოკრებილ სიტყვებს.

წინასიტყვაობაში დასმულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, პირიქით, ეს საკითხი მთელი სიმწვავეით სწორედ ახლადგას, მაგრამ იგი XIX საუკუნის ბოლოსაც ანუხებდა ქართული ენის გულმემატიკურებს. მოგეხსენებათ, დღესდღეობით რაოდენ ძლიერია უცხო ენით გატაცება მაშინ, როცა ქართველმა ქართული რიგიანად არ იცის. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „იმ შემძლე კერძო პირთა, რომელთაც უსარგებლიათ ამ მხრით ევროპიულის ენებითან, სამწუხაროდ ვერც ერთს სარგებლობა ვერ მოუტანიათ მამულისათვის, ანუ თუ მოუტანიათ, სულ მცირე მათის შრომისა და თავგანწირუ-

ლების დაგვარ. ამიტომ, რომ როდის თავისი დედაენისა არ იცის მან არც ღრამატიკა, არც რეტორიკა და არც ლოლიკა, ძნელად მოსდის თავისი სწავლის ქართულად გარდმოცემა, რადგან რა სთქვას, რაც ვერ მოუხერხებია თავისუფალ მისახვედელად? თუ დასწეროს კიდევაც, ცივია და კაცის გულის გამწვრივალეგელია. აი, ეს ფოლხია, რომელიც აკოჭლებს ჩვენს დანიშნულებას სწავლაში.“

„მოფოლხებულნი“, „აღფოლხებულნი“ გვხვდება ძველ ქართულში და მომწვებულს ნიშნავს.

ფოლხი იგივეა, რაც შემაფერხებელი, დამბრკოლებელი. მოფოლხებულნი იგივეა, რაც მოშვებული, ანუ ფოთე. მ. რაფაგა იმონების საბასეულ განმარტებას და მოფოლხებებას გაჭიმვის ანტონიმად თვლის. სიტყვა „ფოთე“ ამ მნიშვნელობით აქარულში დაადასტურეს მ. ფაღავამ და მ. ცინცაძემ (ცინცაძე მ., ფაღავა მ., 1998: 127). „მოფოლხებულნი“ მ. ფუტყარაძემაც დაადასტურა ჩვენებურთა მეტყველებაშიც (ფუტყარაძე მ., 1993: 512). მოფოლხვობასაც უკავშირდება ფლახვი (ნოლაიძელი 1983, 19), რაც მოშვებულს, გადიდებულს ნიშნავს. თუ დავაკვირდებით ფოლხი იგივეა, რაც ფოლხვი ანუ მომფოლხებელი — მომშვებელი. ამ ციტატებიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი ეროვნული მოღვაწე ყოფილა „მოკლე რეტორიკის“ გამომცემელი. ქართველი კაცის დამბრკოლებელი დანიშნულებაში გახლავთ ის, რომ მან არ იცის თავისი ენის ღრამატიკული კანონები, რიტორიკა და ლოგიკა. აქვე დასმულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც — ჯერ გრამატიკა უნდა ვისწავლოთ და შემდეგ კი რიტორიკა და ფილოსოფია, რომ შეგვეძლოს აზრის ნათლად გადმოცემა, „მშვენიერი და გამკვეთი ლაპარაკი,“ რომ ერთმანეთისაგან გავარჩიოთ სიცრუე და ჭეშმარიტება და სიმართლე დაეამტკიცოთ. აქვე იკვეთება გრამატიკის ურთიერთმიმართება რიტორიკასა და ფილოსოფიასთან. მოკლედ, მჭევრმეტყველი და ფილოსოფოსი გრამატიკის ცოდნის გარეშე ვერ მიაღწევს მიზანს.

რიტორისთვის აუცილებელზე აუცილებელია შთამბეჭდავი საუბარი, რომელსაც უნდა ახასიათებდეს სიმარტივე, მშვენიერება და ძალა (გამეფეთილობა). ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ მიიღწევა აზრის სიცხადე, როგორ უნდა დავიცვათ ქართული ფრაზის ბუნებრიობა და სისადავე, არ გამოვიყენოთ შემოსული, ახალ გამოგონილი და რიც გართა სიმსიული სქესი (კილო) ანუ სტილი (სხვა ენათათვის დამახასიათებელი).

წინამდებარე II ნაწილში საუბარია მჭევრმეტყველებრივ ფორმებზე (ფიგურეს), ანუ ლექსების ფორმებზე — „ტროპის სახეობებზე, რომლებიც სტილისტიკის ძირითადი კატეგორიებია, აქვე ვკითხულობთ: „ღრამატიკოსის

ვალაა შეუცილებლად გააწყოს სიტყვები და მხოლოდ ნივთიერს გამსვენებაზედ თვალი ჰქონდეს; ხოლო მჭევრმეტყველს ჰმართებს შესანიშნო მშვენიერება რამე დასძინოს იმიზედა (გვ. 45). ამას მჭევრმეტყველი აღწევს შედარების, მეტაფორის, გაპიროვნების, მეტონიმის, ჰიპერბოლის თუ სხვათა გამოყენებით.

ტროპის სახეობების აღსანიშნავად ტექსტში გამოიყენება არა ლათინური და ბერძნული ტერმინები, არამედ მათი პირდაპირი ან კალკირებული თარგმანი. ეს გახლავთ ცდა ქართული ტერმინოლოგიის შექმნისა. მაგ. ალევორია — „გადაქართულება“ (სხვასიტყვაობა), გარდასხვაფერება — მეტაფორა. ქართული ტერმინების შექმნის მცდელობა ზოგჯერ აბუნდოვებს აზრს და მხოლოდ ინტელექტიდან გამომდინარე თუ გავარკვევთ, რომელ მხატვრულ სახესა თუ ხერხზეა საუბარი.

„აზრების ფორმებად“ გამოყენებულია გარდასხვაფერება (როგორც ნოდება მელნის ტბად თვალბებისა), ნაცვალსახელობა (როცა მიზეზი საქმისა მაგიერ დაიდება ანუ საქმე მიზეზის მაგიერ) იგულისხმება მეტონიმია), მიმხდურობა (ნაწილი მრთელის მაგიერ იხმაროს, მხოლოდითი მრავლობითის მაგიერ) (იგულისხმება სინეკდოქა).

პერიფრაზი განმარტებულია ნაცვალსახელობად ანუ გარმოვლით მეტყველებად (ძე წარწყმედილა — იუდა), ჰიპერბოლა — ზომის გარდამეტებლობად. ცალკეა განხილული სტილისტიკის საკითხები. სტილის განსაზღვრამდე ავტორი საუბრობს მის მრავალსახეობაზე და აღნიშნავს, რომ უმთავრესია ინტერესთა სფეროს განსაზღვრა. სტილის შერჩევისას აუდიტორიის, ასაკის, სოციალური სტატუსის, განათლების დონის, ინტერესთა სფეროს განსაზღვრა. ავტორი სტილს სქესს ან კილოს უწოდებს და ასე განმარტავს: „შესახედაობა სიტყვისა სიტყვის აზრისაგან შეფერებული და მონყობილი არის სტილი“. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სტილზე პირველად საუბარია ანტონ I-ის გრამატიკაში.

აუცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკაში“ გამოყოფილია სტილის სამი სახეობა: მაღალი, მარტივი და ზომიერი.

— რა არის მაღალი სტილი?
— რას შინადა მჭევრმეტყველი იხმარებს უპატიოსნეს განზრახვათა, უდიდებულეს საუბართა, უმხნეეს ფორმებასა და უფიცხლეს გულის მღელვარებათა (გვ. 102).

რა არის მარტივი და ზომიერი სტილი?
როცა მჭევრმეტყველი ადვილ გასაგებელი სიტყვითა და ჩინებული საუბარით იხმარებს ბუნებობის სამკაულს და მონყობილებასა, რომელსაც ორბათი თვითმონყობილ სქესს უწოდებს (გვ. 104).

რა არის ზომიერი სტილი?

— რასაც არც მარტივის სიღობ ექნება და არც მაღლის ფიცხელი ძალა, არამედ ორივესვე ეახლება (გვ. 105).

ცალკე თავი ეძღვნება „სქესის გამორჩევას“, სადაც ნათქვამია, რომ სტილის სამივე სახეობა საქებურია, ოღონდ ორბათობა ისინი „სიტყვისა და საქმის დაგვარ“ უნდა გამოიყენოსო. იქვე ავტორი იძლევა ერთ მეტად საგულისხმო დარიგებას: „ძლიერ ძნელია, რომ სამივე სტილი კაცს ერთად მოემარჯოს და ძლიერ ადვილი სამივესიც წახდენა, რადგან მარტივის შესცვლის მარჯებედ, მორთულობას ზიკიპინტებზედ და უნიჭობაზედ, და სიმალეს უბრალო დიდთქვიობაზედა“ (გვ. 107).

ავტორი გარდა ამ სამი სტილისა, ასახელებს მათემატიკურ, ნამდვილ მოთხრობისა და ლაკონიურ სტილს. მათემატიკური სტილი დაფიქრებას, გონების დაძაბვას, შემეცნების უნარს მოითხოვს. მოთხრობითი სტილი განმარტებულია, როგორც ავტორის თვითონ ნახაბი ამბების გადმოცემა. ყველაზე ვრცლად ავტორი ჩერდება ლაკონურ სტილზე. აქვე დაზუსტებულია, რომ ლაკონური სტილი საისტორიო ძეგლების შესაქმნელად გამოიყენება.

რა არის ლაკონური სქესი?
— სრულიად მოკლე და გამკვეთი; ეს სქესი სპარტის ლაკონელებმა შემოიღეს, რომ თავიანთი მტრების გაზვიადებულ დაქადავებაზედ ამ ერთი „უკეთუ“ კავშირით პასუხს მისცემდნენ ხოლმე, ე. ი. უკეთუ ხელითგან გამოვივთ, უარესი გამდაგვადვევინეთო. აქ მოყვანილია ლაკონური სტილის სხვადასხვა ნიმუში. ერთ-ერთია იულიუს კეისრის წერილი რომაელებსადმი: მივედი, ვნახე, გავიმარჯვე (109-110). მოკლედ, აქ საუბარია ლაკონურულ სტილზე, სადაც სათქმელი ძალიან მოკლედ, ლაკონურად უნდა გადმოიცეს.

ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სტილის სწავლების საკითხებზე, საუბრობს წერის პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე და აკადემიური წერის პრინციპებზე. ამასთან, ავითარებს ერთ მეტად საგულისხმო თვალსაზრისს: თუ კაცს კარგად მოეჭიკრებულ და გონებაში მწყობრად ჩამოყალიბებული არ აქვს რაც უნდა, შეუძლებელია მან კარგად გამოთქვას აზრი. იგი თანდათანობით უნდა გაიწაფოს წერასა და თხზვაში. მესამედ, ცოტა ხნის შემდეგ თავისი დაწერილი ნაიკითხოს და გაათმავლოს. მან თავის ნაწერში უნდა ჩართოს ციტატები გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევიდან, ნაიკითხოს კრიტიკოსთა ნაწერები. აქ გამოკვეთილია აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები: 1)წყნროთ მარტივი, ნათელი, ტვეადი ფრაზებით, 2)წინასწარ დავალაგოთ სათქმელი, მასალა დავაჯგუფოთ,



ქართული პედაგოგიკური აზროვნების მნიშვნელოვანი შენაჩენი

ქართველი განმანათლებლები და საზოგადო მოღვაწეები ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ევროპული განათლებისა და მეცნიერების მიმართ.

ამჟამად საქართველოს ევროატლანტიკურ საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესები, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების კვალდაკვალ, განათლების სისტემის ევროპულ განათლებასთან დაახლოებასაც გულისხმობს.

2005 წლის მაისში საქართველომ ხელი მოაწერა „ბოლონიის კონვენციას“ და ოფიციალურად შეუერთდა „ბოლონიის პროცესს“. ამით ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა არსებითად განვითარების ახალ დონეზე გავიდა და ახალ ღირებულებებს ეზიარა. სწორედ ასეთი სამოქმედო პროგრამა დაგვიტოვა ქართული ეროვნული აზროვნების მესაძირკვლემ ილია ჭავჭავაძემ: „ყმანვილ — კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმინეონით ცოდნითა. უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება. წინ გაუმძღვაროს გამოცდილება და ამ თოფ — იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. აი საგანი, აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმანვილ-კაცობა მთელს ევროპის მეცნიერების ფარ-ხმალით შეჭურვილი, ამაზე უკეთეს საგანს, ამაზე უკეთეს გზას უკვე სხვაგან გამოცდილსა და გამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენი საიმედო ყმანვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვეკოდეს სულ მუდამ, ვიდრე ესთენი დრონი მეფობენ“.

ფეიქრობთ, რომ ერთიან ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის პროცესში საუნივერსიტეტო ცხოვრების რეფორმების წარმატებით განხორციელება უშუალოდ არის დაკავშირებული უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კორპუსის ჩამოყალიბებასთან. მიგვაჩნია, რომ აკადემიური სპეციალობა და პედაგოგიური პროფესია ორგანოდ უნდა ერწყმოდეს ერთმანეთს უმაღლესი სკოლის ლექტორ — მასწავლებლის პიროვნებაში.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას ითვალისწინებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის სრული პროფესორების იური ბიბილიევილისა და ლელა თავდგირიძის დამხმარე სახელმძღვანელო დოქტორანტებისა და უმაღლესი სკოლის მასწავლებლებისათვის „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“.

როგორც ცნობილია, 1981 წელს გამოიცა გ. ჯიბლაძის რედაქტორობით ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები“, რომელშიც სათაზოდ იასახა პედაგოგიკური მეცნიერების იმდროინდელი მიღწევები, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ამ ნაშრომშიც განიცადა საბჭოური იდეოლოგიის გავლენა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინგადაგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია 2001 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორების ალექსანდრე გობრონიძისა და იური ბიბილიევილის ავტორობით გამოცემული წიგნი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები“, რომელშიც მხოლოდ სწავლების ორგანიზაციის ფორმები და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებია განხილული უმაღლეს სკოლაში. აღნიშნულ სახელმძღვანელოში გასაგებ მიზეზთა გამო გათვალისწინებული არ არის უმაღლესი განათლების რეფორმის პრობლემატიკა, რომელმაც ძირეულად შეცვალა საქართველოში განათლების პოლიტიკა და სტრატეგია.

მიგვაჩნია, რომ პედაგოგიკაში უნდა შეიქმნას სახელმძღვანელოები მეცნიერული აზრის მრავალფეროვნების საფუძველზე. ამ მხრივ აღსანიშნავია 2008 წელს პროფესორ ავთანდილ ასათიანის ავტორობით გამოსული სახელმძღვანელო წიგნი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“.

ფეიქრობთ, რომ პროფესორების ი.ბიბილიევილისა და ლ.თავდგირიძის წიგნში „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“ ითვალისწინებს 2011 წელს გამოცემული წიგნის მცირე-

ოდენ ხარვეზებს და იგი სწორედ უმაღლესი განათლების რეფორმის პრობლემატიკაზეა დაფუძნებული. ავტორები ეყრდნობიან უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის შესწავლაში როგორც დღემდე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ისე ინოვაციებს ამ დარგში და, რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, უმაღლეს სკოლაში ავტორების პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებას.

ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკითხები „ლექციის როლი და ადგილი უმაღლეს სასწავლებელში“, „მოთხოვნები აკადემიური ლექციის მიმართ“, „ლექციის შინაარსი“, „ლექციის შემომწება და კონტროლი“. ავტორები, დოქტორანტს, რომელიც მომავალში უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგად ემზადება, დანერგვით ინფორმაციას აწვდიან ლექციის ადგილისა და როლის შესახებ უმაღლეს სკოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ წიგნი განხილული საკითხები: სტუდენტური ასაკის ფსიქოლოგიური საფუძვლები, სწავლების მეთოდები უმაღლეს სკოლაში, სწავლების ორგანიზაციის ფორმები უმაღლეს სკოლაში, უმაღლესი სკოლის არსში ჩანვდომას გაუადვილებს უმაღლესი სასწავლებლის მომავალ ლექტორს.

ნაშრომში ცალკე არის წარმოდგენილი სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის შინაარსი და ფორმები; დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და სტუდენტის მონაწილეობა მასში; სწავლების არსი და სტუდენტთა შემეცნებითი უნარების აქტივიზაციის გზები.

მნიშვნელოვანია სტუდენტთა საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაციის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სტუდენტთა ზნეობრივ აღზრდას. ამასთან, იგი განხილულია აღზრდის სხვა ნაწილებთან კავშირში. ზნეობრივ აღზრდაზე ყურადღების გამახვილება სასიცოცხლო აუცილებლობად მიგვაჩნია, რადგან ეს სათუთი პროცესია, ამიტომ დიდი ზრუნვა საჭირო მომავალი სპეციალისტის ზნეობრივი სახის ფორმირების პროცესში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ავტორების მიერ წიგნში წარმოდგენილი საკითხი „კურსის მრჩეველის(ტუტორის) მისია უმაღლეს სკოლაში“, სადაც ორიგინალურად და მეცნიერულ დონეზე არის წარმოდგენილი კურსის მრჩეველის (ტუტორი) პროფესორის ფუნქციები და მოვალეობები. მისაღებად გვესახება ავტორთა დასკვნა, რომ კურსის მრჩეველი უნდა იყოს ცენტრალური ფიგურა ოჯახსა და უნივერსიტეტს შორის დაფუძნებულ ურთიერთობაში.

ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ და წიგნის ავტორებს მადლობა ვუთხრათ იმი-სათვის, რომ მათ საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოაჩინეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ივანე ბერიტაშვილისა და გიორგი ჯიბლაძის ღვაწლი ქართული პედაგოგიკური აზროვნების წინაშე.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის პროფესორი, გარდა იმისა, რომ თავის სპეციალობაში უნდა იყოს მეცნიერ-მკვლევარი, ამავე დროს უნდა იყოს საუკეთესო აღმზრდელ პედაგოგიც. პედაგოგობა კი პროფესიაა, რომელიც დარგის სპეციალისტმა უნდა შეისწავლოს, თუ იგი უმაღლეს სასწავლებელში სამოღვაწეოდ ემზადება. წინამდებარე წიგნი „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“ - სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

მიგვაჩნია, რომ იური ბიბილიევილისა და ლელა თავდგირიძის დამხმარე სახელმძღვანელო „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“ ქართული პედაგოგიკური აზროვნების მნიშვნელოვანი შენაძენია და იგი დახმარებას გაუწევს დოქტორანტებსა და უმაღლესი სკოლის ლექტორ-მასწავლებლებს.

აშთანდილ ნიკოლიაშვილი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი იმერი ბასილაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი

უსწოგი ავსტონის „მოკლე ჩაბნელება მინა გქეპრეაუსყვანა“

დასაწყისი 4-მე.

3)დავიცვათ აზრის ლოგიკური განვითარება, 4)შავი ვარიანტის შექმნისას მივიყვებთ აზრის მდინარეებს და გადათეთრებისას ყველაფერი გავასწოროთ, ნაწერი კრიტიკული თვალთ წავიკითხოთ, 5)ჩვენი დებულება ან თვალსაზრისი გავაწყობოთ გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევით: ციტატებით.

აქვე საუბარია თარგმანის თეორიულ საკითხებზეც. კარგ თარგმანად ავტორს მიაჩნია ის ნაწარმოები, რომელიც დედანსაც შეეფერება და მასში არც მთარგმნელის დეა-ნაა გახრწნილი. აუცილებელია ასევე სათარგმნი ტექსტის სტილის დაცვა. თარგმნის სიძნელე ისაა, რომ უნდა „გამოიძიო ლექსები თვითი თვითოდ, აზრებიც კარგათ დასჭერო, იდიების განწყობილებას ყურადღება მიაქციო და გარჩევი და ცხადად გაიცნო მათი ძალა, და ის, რაც ამ ორი ენის შუა გარჩეულება მოიპოვების; კიდევ ძალდატანებულ გყოფს ეს შენ, რომ თვალ წინ წარმოიდგინო და გამიჯვო ალურაცხელი ლექსები, ფრაზების ტრიალი, ასწონო და შეადარო თანვე ერთსა და მეორის ღირებას და ზალა, და ათას ნაირად მიატრიალ-მოატრიალო ის ფრაზი, ვიდრე სრულად გამოიყვანო არა მარტო იმ ავტორის ფიქრი და აზრი, არამედ თვით იმისი ლაპარაკის ნაირობაც“ (გვ. 113).

მთარგმნელს სჭირდება ორივე ენის ძირის-ძირამდე ცოდნა. მან უნდა „შეიტყოს იმ ავტორის გენიო და მისი ლაპარაკის ფორმები, რომლის თხზულობასაც სთარგმნის (გვ. 114) კარგი თარგმანის ღირსება ამ ორი რაღაცის შერწყმაში მდგომარეობს.

აქვე ხაზგასმულია, რომ „მთარგმნელი უნდა ეცადოს შენახვას იმ ენის თვისებისა, რომელსაცაა მსთარგმნის, მაგრამ მაინც მუდამ უნდა შეუდგეს იმ თავის ენის თვისებასაცა, მის საკუთრებათა და ფორმათა, რომელზედაც რომ სთარგმნის“ (გვ. 114).

ავტორი იძლევა რამდენიმე მეთოდურ მი-

თითებასაც, თუ როგორ უნდა ვთარგმნოთ ტექსტის ცალკეული ნაწილები, უცნობი სიტყვების მნიშვნელობა ლექსიკონში მოიძიოთ, შევადაროთ სათარგმნელი და მთარგმნი ტექსტები, რომ აზრობრივად არ ენიანადმდეგობდეს ერთმანეთს. ახალ თხზულებაში უნდა ჩანდეს თარგმნის თავისუფლებაც და მისი შესაბამისობაც სათარგმნელ ტექსტთან. მთარგმნელი უნდა იყოს კრიტიკოსი, მხატვარი და მეცნიერ-ფილოლოგი. იგი უნდა ერკვეოდეს როგორც მშობლიური ენის, ისევე იმ ენის თავისებურებებშიც, რომელზედაც თარგმნის. არც ორიგინალზე ზედმეტი მიჯაჭვულობა ვარგა, ამით ირღვევა ფრაზის თავისუფალი მდინარეება.

ამავე ძეგლში ცალკე თავი ეძღვნება სხვადასხვა თხზულების ქადაგების, მოთხრობისა თუ უსტრის წერას. ქადაგება ასეა განმარტებული ეს არის სიტყვა შემოკლებული ყოფაცხევის გასასწორებლად, რადგან გონების დაუყოლებლად შეუძლებელია ვინმეს შეგონება. ქადაგება უნდა იყოს „წყნარი და ცხარე“ — „წყნარი მისთვის, რომ საქმის უაღრესობა იმას მოითხოვს, და ცხარი იმისთვის, რომ ამბობს გამოსადაგვა კაცის სიკეთისათვის ქადაგების ნაწილები ერთ აზრს, ერთ იდეას უნდა გამოხატავდეს. ამასთან, ქადაგი არ უნდა გასცილდეს სათაურს, რომ არ შეანყინოს მსმენელებს თავი, იგი უნდა საუბრობდეს არა აბსტრაქტულ საგნებზე, არამედ ისეთ მოვლენებზე, რომლებიც ყოველდღიურად ხდება მათ ცხოვრებაში. ქადაგება ადვილად გასაგები ენით უნდა წარმოითქვას, „მიუკიბროს მსმენელს უნდა გადმოიცეს სიტყვები, არ უნდა გამოიყენებოდეს ფილოსოფიური ტერმინოლოგია, საღმრთო წერილის ძნელად ჩასაწვდომი მცნებები.

აქვე საუბარია იმაზეც, თუ რა მოეთხოვება ისტორიკოსს: ერთი — სინამდვილის უტყუარი ასახვა, მეორე — ნათქვამის დასბუთება, მკაცრი ქრონოლოგია და ლაკონიურობა. იგი არ უნდა იყოს ტენდენციური.

რაა საჭირო უსტრის თუ წიგნის მინერი-

სათვის? ავტორი მოკლედ აყალიბებს ამ პოსტულატებს: „საჭიროა შინაურული სიტყვა-პასუხი რაც გამოსადეგი იყოს, ვითამც, სიმარტივე, ბუნებობა თვინიერ ყოველი ხელოვნობისა, გენია და შემოკლებულა მშვენიერის სქესით და ტკბილმოუბრობითა“ (გვ. 132).

ჩამოთვლილია პუბლიცისტური სტილის აუცილებელი ნიშნები: აზრის სიმარტივე, სიტყვადე, ლაკონიზმი, ექსპრესიულობა. დიდი ყურადღება ექცევა იმასაც, რომ წერილის წერის დროს დაუფიქრებლობით ისეთი რამ არ დაინეროს, რომელიც ოდესმე ზიანს მოუტანს საზოგადოებას.

მოკლედ, ჩვენი ძეგლის შემდგენელი, სავარაუდოდ, ანტონის გრამატიკის I რედაქციას იცნობდა, იგი II რედაქციის გამოსვლამდე ნასულა ემიგრაციაში. ანტონი თავადც აღნიშნავდა, რომ იმ დროს გრამატიკის ნაშრომები ნაკლებად იყო და გასაკვირი არაა, რომ მისი გრამატიკის გავლენის ქვეშ მოექცა თანადროული ეროვნული მოღვაწე.

„მოკლე რეტორიკის“ ფილოსოფიური ტერმინების შედარება იოანე პეტრინის ნაშრომებთან ცხადყოფს, რომ მისი შემდგენელი ყოფილა გამგრძელებელი იმ ლიტერატურული ტრადიციებისა, რომელიც მანამდე არსებობდა საღვთო წერილის თარგმნასა თუ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. წიგნის ბოლო თავში მაღლიერებით მოიხსენებს XI საუკუნის მოღვაწეებს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, იოვანე ფილოსოფოსს, შოთა რუსთაველს, შავთელს, ჩახრუხაძეს. აშკარაა, რომ აქ ნამდვილად იგულისხმება იონე პეტრინი. „იოანე პეტრინის დროს მოხდა ქართული სამწერლო ენის ახალი სასიცოცხლო ენერგიით აღსება კლასიკური ქართული სამწერლობო ენისა და ხალხური სამეტყველო ენის შერწყმის გზით (მელიქიშვილი დ., 1975: 4).

ანტონის „ქართული ლრამატიკის“ ორი რედაქცია არსებობს ვრცელი 1853 წლისა და მოკლე 1867 წლისა, რომელიც ორჯერ გამო-

იცა 1885 წელსა და 1997 წელს. იმის გამო, რომ ანტონს ხელი არ მიუწვდებოდა სხვა ენის გრამატიკაზე, ფილიპე ყაითმაზაშვილის მეშვეობით გასცნობია ბერძნულ-ლათინური გრამატიკის მიხედვით განწყობილ მხითარ სებასტიანელის გრამატიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ანტონი 1757-1764 წლებში რუსეთში იმყოფებოდა და კარგად გასცნობია მ. ლომონოსოვის გახმაურებულ შრომებს სამი სტილის თეორიის შესახებ, 1767 წელს გამოცემულ II რედაქციაში „სამი სტილის თეორია“ საერთოდ არ შეიტანა. პეტრე I-ის დროს იწყება რუსული კულტურის ევროპეზაცია. ერთიანი სალიტერატურო ენის შემოღების საჭიროება ევროპიდან რუსეთში მიიღო, რუსეთიდან — საქართველოში.

ანტონი რუსეთში ყოფნის დროს გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდა გრამატიკის ახალი რედაქციის შესაქმნელად. იქ ეზიარა ვ. ვინოგრადოვის თვალსაზრისს, რომ საეკლესიო სლავერისა და რუსულის დაახლოება რუსიერის სალიტერატურო ენის შექმნის აუცილებელი პირობა იყო. ანტონმა ეს მოთხოვნა მიუსადაგა ქართულსაც.

II რედაქციაში ანტონი სამეტყველო ენაში გავრცელებულ ფორმებს აძლევს უზირატესობას. სამეტყველო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ანტონ I მიჰყვებოდა პეტრინის სტილს. „იოანე პეტრინის სტილი მექანიკურად იქნა დანერგილი და ფორმალურული ანტონის სკოლაში XVIII საუკუნეში (მელიქიშვილი დ., 1975: 4).

ამრიგად, „მოკლე რეტორიკის“ შემდგენელი შეიძლება იყოს ანტონის სკოლის წარმომადგენელი — შეიძლება უბრალოდ თანამედროვე იყო. იგი იყენებს ტერმინ „სხმითგარდასვლითს“, რომელიც ანტონს მხითარის გრამატიკიდან გადმოუღია.



თანამედროვე ესა მიხელი, ტატო და ორი ბენიოსის პირთი ბელისნარა

Гений умирают вовремя!
А.Н.Скрябин



მიხელი ლერმონტოვი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თანამედროვენი იყვნენ, ორივე – გენიოსი, ორივე – რომანტიკოსი. მოფერებთა თუ სიყვარულით ლერმონტოვს მიმდებარე ექსპანდენს, ხოლო ბარათაშვილს – ტატოს. მიხელი 1814 წელს დაიბადა, ხოლო ტატო – 1817 წელს. მიხელი ტატოზე სამი წლით უფროსი იყო და სამი-ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა. მიხელი დაიბადა ქალაქ მოსკოვში, თავისი ქვეყნის, ანუ რუსეთის დედაქალაქში. ტატო დაიბადა ქალაქ თბილისში, თავისი ქვეყნის, ანუ საქართველოს დედაქალაქში.

ჩემი მიზანი როდია ორი დიდი პოეტის ბიოგრაფიული მომენტების გახსენება. ამ პარალელურობით მინდა მკითხველს ვიზუალურად ვაჩვენო მათი ერთნაირი ბედისწერა.

ლერმონტოვი დაიბადა თავისი სამშობლოდან შორს, მისთვის უცხო მხარეში, ქალაქ პიატიგორსკში. ბარათაშვილიც თავისი სამშობლოდან შორს, მისთვის უცხო მიწაზე, ქალაქ განჯაში გარდაიცვალა. ლერმონტოვიცა და ბარათაშვილიც 27 წლისა-ნი იყვნენ.

ლერმონტოვმა და ბარათაშვილმა ინიანს-ნარმეტყველა საკუთარი აპოკალიფსური აღსასრული. ერთიც და მეორეც გრძობდა და ნინას-ნარმეტყველებდა ტრაგიკულ ბედისწერას. ორივენი ბაირონივით თავად დაემტკიცნენ სიკვდილს. ლერმონტოვს კავკასიის ბრძოლებში ყველაზე უფრო სასიფათო ბატალიონისაკენ მიუხედავად გული, ხოლო ბარათაშვილს განჯის შემოგარენში ტყის ყაჩაღებთან ბრძოლა არგუნა ბედავდა.

მიხელს თავის ადრინდელ ყმანელობისყამინდელ რეულებში ანდერძით ჩაუწერია: „... Положите камень и – пускай на нем ничего не будет написано, если однажды имени моего не довольно будет доставить ему бессмертие“.

ნინასნარმეტყველური ტრაგიზმი თვალსაჩინოა ბარათაშვილის ლექსებსა და პირად წერილებში. „...ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა ნინაპართ საფლავებს შორის. ნუ დამიტვირთს სატროფო გულისა, ნულა დამეცეს ცრელი მწუხარი. შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელთა შორის ტილის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მინას დამაყრის“. სულ მალე, რადენიმე თვეში აუხდა ეს საღისშემდგომელი ნინასნარმეტყველება.

ბარათაშვილი 1845 წლის აგვისტოში, ელისავეტოპოლში (იგივე მურუთი), ქალაქ განჯიდან 14 კილომეტრის დაშორებით, რუსული ეკლესიის გალავანში მიიბარა მისთვის უცხო მიწაზე. ლერმონტოვმაც ნათესავებისაგან შორს, პიატიგორსკში (მაშუკის მთასთან) ძველ სასაფლაოზე ჰპოვა სამარე 1841 წელს. ეთიცი და მეორეც უცოლშვილოდ გადაეგო ნუთისოფლიდან.

ლერმონტოვი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გადაასვენეს პიატიგორსკიდან თავის

მშობლიურ მხარეში და დაკრძალეს საგვარეულო სასაფლაოზე, პენზის გუბერნიის სოფელ ტარხანში. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი 47 წლის შემდეგ დაუბრუნდა განჯიდან მშობლიურ მიწას. ჯერ თბილისში, დიდუბის პანთეონში, მოგვიანებით მთაწმინდის გამორჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჰპოვა სამარე. ორივე პოეტის პირველი საფლავი დაკარგულად ითვლება. პიატიგორსკის ძველ სასაფლაოზე დგას ლერმონტოვის ობელისკი, მაგრამ არა იმ ადგილას, სადაც მისი საფლავი იყო.

არც ლერმონტოვის და არც ბარათაშვილის ფოტოსურათი შემოგვინახა ბედისწერამ. ლერმონტოვის სახე ფერწერულ ტილოებში გაცოცხლდა. როდესაც პეტერბურგში საიუნკრო სკოლა დაასრულა და ოფიცრის მუნდირი პირველად მოირგო, მისმა ბებია ელიზაბეტა არსენიევამ მხატვარ ბუტკინს შვილიშვილის პორტრეტის შეუქვეთა. ამ შექვეთამ ბუტკინი უკვდავებაში შეიყვანა. შემდეგ პოეტის პორტრეტები შექმნეს ზაბოლოდსკიმ, კლიუნდერმა, გორბუნოვმა და ბევრმა სხვამ. ეს ის დროა, როცა ახლად იდგამდა ფეხს ფოტოგრაფია. ლერმონტოვმა ვერ მოასწრო სურათის გადაღება. ბარათაშვილის სახე აღებქდა დაგეროტიკმა. სამწუხაროდ ისიც განადგურდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში პოეტის დამ, ნინომ, სტუმრად მისულ ილია ჭავჭავაძეს აჩვენა ტატოს ზემოთ ხსენებული სურათი. ილიამ იგი იმ დროისათვის თბილისში ცნობილ ფოტოგრაფ დუბელირს გასამრავლებლად მიუტანა. საუბედუროდ, იმ დამით დუბელირის ფოტოატელიე ხანძარმა შთანთქა. ესეც გენიოსის ბედისწერა!

საბედნიეროდ, ბარათაშვილის სახე შემოგვინახა პოეტის სიყრმის მეგობრის, არაპროფესიონალი, უფრო სწორედ, დილეტანტი მხატვრის მიხილ თუმანიშვილის ფანქრით შესრულებულმა ესკიზებმა. თანამედროვენი აღიარებდნენ, რომ ტატოს გაჭრილი ვაშლივით ჰგავანებია მისი და სოფიო. დიმიტრი ყიფიანის მეუღლე ნინო (ქალმშობლობაში ჭიალელი) იგონებს: „Вот уговорите кн. Софию снять сь в фотографии, приделите ей усики и наденте ей сюртук и будет у вас портрет поэта“.

თუმანიშვილის ესკიზებსა და თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, გამოჩენილმა ლადო გულიანკოვმა 50-იან წლებში შექმნა ტატოს პორტრეტი, რომელიც დაამტკიცა სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ. 1979 წელს ბარათაშვილის შესახებ ჩემთან საუბრისას ლადო გულიანკოვმა ხაზი გაუსვა ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პორტრეტულ მსგავსებას, რაც მეტად საგულისხმოა.

ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი ლექსები და ბეჭდული არ უნახავს. ვერც აღიარებას მოესწრო. ლერმონტოვმა გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე, 1837 წელს, დაიწყო ლექსების გამოქვეყნება და აღიარებაც თვალსაჩინო იყო. ორივე პოეტის შემოქმედებით ცხოვრების ხანგრძლივობა 12-13 წელია. ლერმონტოვს თანამედროვეებმა –

რუსი გოეთე, ხოლო ბარათაშვილს ქართველი ლერმონტოვი უწოდეს.

ბარათაშვილი ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე, მაგრამ კოჭლობის გამო (ბავშვობაში ფეხი მოიტეხა), სამხედრო სასწავლებელში არ მიიღეს. „ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქომამდენ და ახლაც ხანდასხანს კიდევ მთამომეპარება ხოლმე გულში“, – წერდა 1837 წელს გრ. ორბელიანს. ლერმონტოვიც ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე. ამ მიზნით მიატოვა მოსკოვის უნივერსიტეტი და პეტერბურგის სამხედრო სკოლა დაასრულა. შემდეგ იგი პუსართა პოლკის ოფიცერი გახდა.

ბარათაშვილი 1845 წლის ივნისში განამწესეს განჯაში, სადაც მალე გარდაიცვალა. ლერმონტოვი 1840 წელს გადმოსასხლეს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მალე დაიღუპა.

ლერმონტოვი და ბარათაშვილი ერთდროულად გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს ის დროა, როცა პეტერბურგში სასტიკად გაუსწორდნენ დეკაბრისტულ მოძრაობას, ხოლო საქართველოში დარბეულია ცნობილი 1832 წლის თავდაზნაურთა შეთქმულება. ისტორიის ამ მონაკვეთის „უდროობის ხანა“ უწოდეს. იგი არანაკლებ მძიმე იყო ბარათაშვილისა და ქართული ინტელიგენციისათვის.

პეტერბურგში ხუთი დეკაბრისტი ჩამოახრჩვეს, ხოლო თბილისში 1834 წლის 10 თებერვლის განჩინებით, შეთქმულების 10 მონაწილეს სიკვდილი მიუსაჯეს, – ე.წ. четвертование – ჯერ ხელ-ფეხისა და შემდეგ თავის მოკვეთა. მალე ეს განაჩენი გადასახლებით შეცვალეს. შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი და მეგობარი სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში გადასახლეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა; სოლომონ რაზმაძე – პენზაში, დიმიტრი ყიფიანი – ვოლოგდაში (მეორედ 1886 წელს, სტავროპოლში გადასახლეს, სადაც მათის აგენტებმა 1887 წლის 24 ოქტომბერს იგივე, თავის ბინაში მძინარე მოკლეს), ხოლო ვახტანგ ორბელიანი – კალუგაში. ტატოს თანამედროვე რომანტიკოსი პოეტები ალექსანდრე ჭავჭავაძე (იგი ეკატერინე II ნათლული იყო, რომელსაც ადრე ლერმონტოვთან ერთად პუსართა გვარდიის პოლკში უმსახურია) და გრიგოლ ორბელიანი (რომელიც ბარათაშვილის დედის, სოფიოს ძმა) შეინყალეს, როგორც მეშვიდე კატეგორიის (ცივირე დამანაშავეები. შემდეგ ორბელიანი ამიერკავკასიის მთავარმართებელი გახდა. ვარაუდობენ, რომ შეთქმულების სამ მონაწილეს – ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს და სოლომონ დოდაშვილს 1829 წელს თბილისში ყოფნისას გასცნობია პუშკინი.

1837 წელს ლერმონტოვი საქართველოში გადმოსახლეს. ამ დროს გამოქვეყნებული აქვს „პოეტის სიკვდილი“ და სხვა ლექსები. ნათელია, რომ ქართველი რომანტიკოსები უკვე იცნობდნენ მათ. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი, რომელშიც ლერმონტოვი მსახურობდა, კახეთში იდგა. წყაროებით დასტურდება მისი მონაწილეობა თბილისში გამართულ სამხედრო აღლუმში,

რომელიც ნიკოლოზ პირველის საქართველოში სტუმრობას მიეძღვნა. ქართულმა თავადაზნაურობამ იმპერატორს ზღაპრული ბალი გაუმართა, რომელშიც ლერმონტოვიც მონაწილეობდა, დრაგუნთა პოლკის ოფიცერთან ერთად. აქ იყვნენ ქართველი პოეტები ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. პავლე ინგოროყვას ცნობით, იმპერატორს ბარათაშვილისათვის ხელი ჩამოურთმევია. ალ. ჭავჭავაძე ადრევე იცნობდა ლერმონტოვს, მაგრამ ძნელი სათქმელია, ამ ვითარებაში გაეცნენ თუ არა მას ორბელიანი და ბარათაშვილი.

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ბიოგრაფიაში ფიგურირებს კიდევ ერთი პიროვნება, ტატოს თანაკლასელი და მეგობარი, შემდგომში რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1869 წლიდან) კონსტანტინე მამაცაშვილი. იგი მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიის ომებში. სწორედ აქ დაუმეგობრდა მიხილ ლერმონტოვს. ისტორიკოსთა ცნობით, მათ ერთად გადაუხდათ მძიმე ბრძოლები და ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონიათ. უთუოდ საინტერესოა რუსულ ენაზე დაწერილი მამაცაშვილის „მემუარები“, რომელიც პეტერბურგის პუშკინის სახლის არქივშია დაცული. დღესავით ნათელია, რომ მამაცაშვილი ლერმონტოვს მოუთხოვდა თავისი სიყრმის მეგობარი ქართველი პოეტის შესახებ.

ლერმონტოვი წუხდა: „Господа! когда-то русские будут русским“. ანალოგიური იყო ბარათაშვილის ფიქრი და სიზმრები ქართველებსა და საქართველოზე.

ორი გენიოსის რომანტიკული გზავნილი მკითხველისადმი დაუსაბამო ფიქრისა და განსჯის გენერატორი გახდა. აქ ლერმონტოვი ბარათაშვილზე მეტია და პირიქით – ბარათაშვილი მეტია ლერმონტოვზე. ლერმონტოვის რომანტიკში სოციალური ბუნებისა, ბარათაშვილთან კი სოციალურთან ერთად ეროვნული მოტივი ნინაურდება. მეფის რუსეთის რეჟიმი ერთნაირად მძიმე იყო როგორც რუსი ხალხისათვის, ასევე ეროვნული უმცირესობებისათვის. ლერმონტოვისა და ბარათაშვილისათვის ერთნაირად ახლობელია გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ბედი, მიუხედავად მისი ეროვნული წარმომავლობისა.

გოგოლმა ლერმონტოვის ნაწერებს კეთის-სურნელივანი (Благоуханной), ხოლო ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილს დადებუნივანი უწოდა.



შოთა ზოიძე

ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარეს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, ღირსებით გამოჩენულ და მეგობრობისადმი თავდადებულ პიროვნებას ბ-ნ თემურ გუგულას ძე მჭედლიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ბ-ნმა თემურ მჭედლიძემ განვლო შრომით, სწავლით, სამეცნიერო-კვლევითი და სამსახურეობრივი საქმიანობის დატვირთული საინტერესო გზა. იგი დაიბადა 1951 წლის 8 ოქტომბერს, ზესტაფონის რაიონის სოფ. ფუთში, მოსამსახურის ოჯახში. 1968 წელს მან დაამთავრა ზესტაფონის #7 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. 1971 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დანაწევრებით განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდის სპეციალობაზე. იმავე წელს თემურ მჭედლიძე განაგრძო იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, მან სწავლა განაგრძო იმავე სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1977 წელს. 1979 წლიდან იგი ბათუმის პედინსტიტუტის თანამშრომელია. პარალელურად, ბ-ნმა თემურმ გაიარა ისტორიის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების სრული კურსი.

სხვადასხვა დროს თემურ მჭედლიძე მუშაობდა ინსტიტუტის სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტის უფროს ლაბორანტად, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მმართველად და სხვა

თეურ მჭედლიძე — 60



სამეურნეო თანამდებობებზე.

1985 წლიდან ბ-ნი თემურ მჭედლიძე, რომელიც დაინტერესებული იყო სამეურნეო-კვლევითი მუშაობით, საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის ხაზით. აკადემიკოს მან დაასრულა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის კათედრაზე, სადაც

შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია.

1985 წლიდან დისერტაცია თემურ მჭედლიძე მუშაობას იწყებს პედინსტიტუტში პედაგოგიკის კათედრის ასისტენტად. 1996 წლიდან იგი პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 1997 წელს იგი აირჩიეს გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარედ და შეყვანილი იქნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში.

1999 წლის 23 დეკემბერს თემურ მჭედლიძემ საქართველოს განათლების სამინისტროს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შრომითი აღზრდის პრობლემები ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში“ და მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

2000 წლის ნოემბრიდან თემურ მჭედლიძე პედაგოგიკის კათედრის უფროსი მასწავლებელია, ხოლო 2001 წლის აპრილიდან უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მას მიენიჭა დოცენტის წოდება. იგი დღემდე ამ კათედრის (ამჟამად დეპარტამენტის) წევრია.

2004 წლიდან სხვადასხვა მოღვაწეების გამო შეიცვალა გაერთიანებული პროფკომიტეტის

ფუნქცია და თემურ მჭედლიძე მუშაობს პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფკავშირის თავმჯდომარედ. იგი აგრძელებს პედაგოგიურ მუშაობას სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან. არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ბ-ნი თემურ მჭედლიძე ითვლება განათლების მუშაკთა პროფკავშირის გამოცდილ პიროვნებად, რომლის დადასტურებაც ის რომ, იგი არჩეულია აჭარის არ პედაგოგთა და მეცნიერთა პროფესიულ კავშირის რესპუბლიკური საბჭოს წევრად, აგრეთვე არის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფესიული კავშირის აღმასრულებელი საბჭოს წევრი. იგი მონაწილეა არაერთი კონფერენციების, სიმპოზიუმების, როგორც რესპუბლიკაში ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის, სტატიის და წერილის ავტორი.

ბ-ნი თემური შესანიშნავი ოჯახის პატრონია. მისი მეუღლე ქ-ნი დარეჯან ნიკოლაძე ცნობილი ექიმპედიატრია. ჰყავს ორი ქალიშვილი. მათგან თეკლა განათლებით იურისტი, ხოლო სალომე კი სტუდენტია.

თემურ მჭედლიძე იმდა ავტორიტეტით სარგებლობს უნივერსიტეტის მრავალრიცხოვან კოლექტივში, ქალაქში, მშობლიურ რაიონსა და სოფელში. მის ახლო მეგობრებს ისლა დაგვრჩენია, რომ მოფერებთ „გუგულას ბაჭ“ გულით ვუსურვოთ ჯანმრთელობა, ახალ-ახალი წარმატებები და ქვეყნისთვის, ოჯახისთვის, სამეგობროსათვის ხანგრძლივი სიცოცხლე.



2011 წლის 18 ნოემბერს დაბადებულიდან 90 წლისთავი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალს, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ქართული პროზის რაინდს – ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბს. ვინყვებთ იუბილარისადმი მიძღვნილი წერილების გამოქვეყნებას.

ადამიანი უაღრესად რთული ფენომენია. მასზე ფიქრის დროს ხშირად უნდა ვიმეორებდეთ მაქსიმ გორკის ცნობილ სიტყვებს: „ადამიანი... ამაყად ჟღერს“. და იმავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ფილოსოფოს ფ.ბელონის გაფრთხილება: „ადამიანი ბუნება ან სიკეთეს ნერვებს, ან სარეველ ბალახს აღმოაცენებს. დაე, მან თავის დროზე პირველი ახაროს და მეორე მოსპოს“..... მაგრამ ვერ მოსპობს. ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია, როგორც პიროვნება, სწორედ იმით არის გაკვირვებული, რომ ადამიანი უფრო უარყოფითს მისდევს, ვიდრე კეთილს. მისი სიტყვებია: „კაცი, ხომ იცი, როგორია, ირაკლი?–ერთი საქციელში ავსაც ხედავს და კარგსაც. ხშირად მარტო ავს ბაძავს და კარგს არა. ვიცი მე ეს“.

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაში ფართო ადგილი უჭირავს სწორედ ადამიანის ცვალებად ბუნებაზე დაკვირვებას. კითხულობთ მის ნაწარმოებებს და რწმუნდებით, რომ ადამიანის ბუნება ისევე უსაზღვროა, როგორც კოსმოსი. ამოუწურავია კოსმოსის საიდუმლოებანი იმიტომ, რომ იგი უსასრულოა. ამავე მიზეზით ამოუწურავია ადამიანის სულიერი სამყარო იმიტომ, რომ იგიც უსასრულოა, თუმცა ამ შემთხვევაში ერთ კონკრეტულ ფიზიკურ არსებასთან გვაქვს საქმე.

ეს პრობლემა იმდენად მწვავე და პრინციპულია, რომ დღეს სწავლული ფილოსოფოსები და პედაგოგები სპეციალურად მუშაობენ ანთროპოლოგიური კვლევის ჩამოყალიბებაზე, რომელმაც საშუალება უნდა მოგვცეს უფრო ღრმად ჩავიხედოთ და ჩავწვდეთ პრობლემის ცვალებადი ბუნების, მისი ხასიათის ალზრდის საიდუმლოს. ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ საუკეთესო ნიმუშია იმისა თუ რამდენად რთულია ადამიანი და რამდენად პირობითია თეზისები: „ადამიანები განვსაჯოთ არა მათი აზროვნებით, არამედ იმით, თუ რა შედეგი მოაქვთ ამ აზრებს“ (გ.ლიხტენბერგი): „ადამიანი არის არა ის, რაც არის, არამედ ის, რასაც აკე-

მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა თუთაშხიას“ შექმნით თავისი ხალხის ბრძენი მასწავლებლის სახელი მოიხეჭა. საეცებით კანონზომიერია, რომ „დათა თუთაშხიაზე“ ინერება დისერტაციები, მონოგრაფიები, ნარკვევები. ეს პრობლემა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან რომანი „დათა თუთაშხია“ ჭეშმარიტად ორიგინალური იდეების მძლავრი განერატორია. ამჯერად „დათა თუთაშხიაში“ ქართული ინტელიგენციის თემაზე გვსურს ყურადღების გამახვილება.

ინტელიგენციის პრობლემა ყოველთვის იდგა საზოგადოებაში. ინტელიგენცია არის ის ძალა, რომელიც ხალხს ასაზრდოებს იდეებით, ცხოვრების სწორი გზით წარმართვისათვის სთავაზობს ახალ ორიენტირებს. შემთხვევით არ უნდა ილია ჭავჭავაძეს, ინტელიგენციის ყველა ღირსებით დაჯილდოებულს, საქართველოს უგვირგვინო მეფე. ილია და მისი თანამოაზრე ქართული ინტელიგენცია საიმედო მეგობრად ჰყავდა ხალხს მიჩნეული და რწმენით მიჰყვებოდა მას.

საბჭოთა პერიოდში ინტელიგენციის ეს ისტორიული მისია კომუნისტურმა პარტიამ ეიკსრა. მას წმინდა იდეოლოგიურ-პარტიული მიმართულება მისცა და მოაზროვნე ინტელიგენციის როლი და გავლენა შემცირდა საზოგადოებაში. შემდეგ დადგა საბჭოთა წყობილების დემონტაჟის დრო და, როგორც პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე წერს ნარკვევაში „საშუალო ადამიანის“ აღზვევა“–ის, რაც ადრე ინტელექტუალური არისტოკრატის საკუთრება იყო, დღეს „საშუალო ადამიანის,“ ანუ „ადამიანი-მასის“ საკუთრებად იქცა. „საშუალო ადამიანს“ წმინდა უტილიტარულ-პრაქტიკული დამოკიდებულება აქვს სინამდვილესთან. მისთვის ჭეშმარიტი მხოლოდ ისაა, რაც სასარგებლოა“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ ეს ტენდენცია მომავალშიც ასე გაგრძელდა, უნდა ველოდოთ, რომ ქართველი ხალხის მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული სულიერი კულტურა მნიშვნელოვნად გაღარბდება და უპირობოდ იქცევა იგი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესისათვის ადვილად მოსანელებელ ლუკმად. მაგრამ, ჩვენ სხვა პერსპექტივა გვსახება სამომავლოდ და ამ იმედს აძლიერებს ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და მისი ბადალი სხვა-

ჭაბუა ამირეჯიბი-90

უთქველი აზრის ალქმის ხელოვნება



თებს“ (პ.უ.სარტრი). ჭაბუა ამირეჯიბის შეხედულებით, ყოველთვის არც მხოლოდ მისი ქცევების მიხედვით შეიძლება ადამიანის ჭეშმარიტი ღირსებების ამოცნობა. ადამიანი გაცილებით უფრო რთული არსებაა, ვიდრე ეს ფილოსოფოსებს აქვთ წარმოდგენილი. ამ პრობლემას მწერალმა რომანის „დათა თუთაშხიას“ მეოთხე კარი მიუძღვნა და მრავლისმეტყველად გვეჩვენება, რომ ადამიანის ხასიათზე დაკვირვების შესახებ თემას მწერალი ვარსკვლავთმეტყველებისა და ასტროლოგიური გატაცებების საკითხით იწყებს: „განსაკუთრებით სამსახურიდან გადადგომის შემდეგ–ათქმევინებს მწერალ გრაფ სეველ-ვარსკვლავიანი ცა ჩემი ფიქრების მუდმივი თანამავალი გახდა. როცა მოვლენები და შთაბეჭდილებები მჯაბნიდნენ, როცა ვითარებაში გარკვევა და სწორი დასკვნის გამოტანა მიძნელებოდა, მაშინ ლურჯ ცაზე თორმეტ რიდაქოდ დამჯდა სამყაროს ავტეპროდი, იდუმალი ციურ სიმბოლოებში ადამიანთა ხასიათებისა და ურთიერთობების ანალოგიებს ვეძებდი. ეს, თითქოს, თავშესაქცევარი და გასართობი, წვრილმანებში დაფლულ მთვა-

თავის ხალხის ბრძენი მასწავლებელი

მხატვრული ნაწარმოებები, მაგალითად რევაზ მიშველაძის რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ (2010).

მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ერთმანეთისაგან განარჩევს უმაღლესი საზოგადოების კარის ინტელიგენციას – ჩინების, ნოდებების, თანამდებობების საზოგადოებას და ჭეშმარიტ ინტელიგენციას – მოაზროვნე საზოგადოებას. მათ შორის განსხვავება სუფრასთანაც კარგად ვლინდება. მუსაიფთა და აზრთა გაცვლა–გამოცვლით დაინტერესებულ ადამიანების სიტყვებს „გრძელ სადღერძეობებს“ უნდადგენ სმითა და თრობით გატაცებული მოქიფეები. რომანში ტიპურ ინტელიგენციას განასახიერებს პერსონაჟი ელიზბარ კარიჭაშვილი. ის ხალხმრავალ წევრებაში ხმაგაკმენდილი ზის, ისმენს მალაღფარდოვან სადღერძეობებს და მოლაპარაკის მაგივრად უხერხულად გრძობს თავს. სამაგიეროდ მეგობრულ სუფრასთან „აინყვეტს“ ხოლმე და მის მჭევრმეტყველებას, აზრის სისხარტეს საზღვარი არა აქვს. დაინყებს ლაპარაკს რამე რთულ და ამოუწურავ ადამიანურ სატიკვარზე, გამოიყვანს მოულოდნელ, მაგრამ დამაფიქრებელ დასკვნას და სრულიად ბუნებრივად მიუსადაგებს ერთ–ერთი თანამესუფრის სადღერძეობას.

ინტელიგენცია ქალბატონი ნანო თავყელიშვილი–შიერისა, რომელიც პიროვნების ღირსების მთავარ მახასიათებლად შიშის გრძობის დაძლევის და თავისუფლად ქცევის თვისობას: „არასოდეს და არაფერზე არ ვეუბნები უარს საკუთარ თავს. ყველა სურვილს ვისრულებ. ამას განხორციელებულ თავისუფლებად ვთვლი. შიშის გრძობას ვძლიე“– ამბობს ის.

რატომ მივიდა ინტელიგენციასთან აბრაგი დათა თუთაშხია? რა თქმა უნდა, მივიდა როგორც საიმედო ძალასთან, რომლისგანაც ელის დახმარებას ცხოვრებაში უფრო სწორი გზის განსაზღვრისათვის. ამ საზოგადოებაში გონიერების პოზიციებიდან გაიზარებენ

რის პოვნას მიაღვივებდა, ფიქრთა ნისლიდან მკაფიო სურათების გამოტანაში მშველოდა. დღესაც ღრმად მნამს, რომ ვარსკვლავთა სამყარო მიწიერ საქმეებზე გაცილებით მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ჩვენ გვგონია“. ამ პრელუდით იწყება მოგონება შინაგანად უაღრესად დაძაბული საზოგადოება გრაფი სეველისა მუშნი ზარანდიასთან, რომელიც ახლა პეტერბურგის სამეფო კარზე იმ შვიდი კაცთაგანია, ვისაც იმპერატორთან პირადი აუდიენციის უფლება პერსონალურად ჰქონდა მინიჭებული და საქორების შემთხვევაში მისი უდიდებულესობის გაღვიძებასაც კი არ მოუერიდებოდა“.

მწერალი ადამიანების დაფარული მრწამსის ნაკითხვის მრავალ დეტალზე მიაქცევს მკითხველის ყურადღებას და გვიაარალებს უთქველი აზრის ალქმის ხელოვნებით. პირველი, მათ შორის, თანამოსაუბრის მეტყველების ინტონაციაა. რომანის პერსონაჟის სეველის მონათხრობში სწორედ მეტყველების ინტონაციით არის ამოხსნილი იმპერატორთან დაახლოებული კარისკაცის სახასიათო ცვლილებები: „შეგნიშნე კიდევ ერთი საინტერესო და ღრმა ინტერესით ლაპარაკობდა უავგუსტუსი ოჯახის ყველა წევრზე, მათ ცხოვრებაზე და ნათქვამის ინტონაციაში მონის თაყვანისცემა იგრძნობდა“.

ისევ ინტონაციაში გამოვლენილი სინამდვილის შესახებ ლაპარაკობს სეველი თავის მოგონებებში: „ახლა მე ვუსმენდი მას (მუშნი ზარანდიას) და ვხედავდი, როგორ ჩაჰყოლოდა იმ ჩამთრევე ძალას, რომელიც მისი ინტერესების ჩარჩოებს მიღმა მოქმედებდა. პირადად მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენდა და არც ამის თქმა შეიძლებოდა, რომ იმ ჭორ–ამბავის ცოდნას ზარანდიას პროფესიულად სჭირდებოდა. მომეჩვენა, რომ მამამისის–მაგალი ზარანდიას ნინასწარმეტყველება–უმაღლესი თანამდებობაზე კეთილი განზრახვებით გასული ბევრია და სიკეთეშენარჩუნებული არავინო–მუშნი ზარანდიას შემთხვევაში გამართლდა. იგი უკვე მკაფიოდ გამოხატული კარისკაცი იყო“. ამ მკაფიოდ გამოხატული კარისკაცურ ქცევებს მუშნი ზარანდია არც სიტყვიერად გამოხატავს და არც ქცევის ლეგალიზაციით. მაგ-

რამ მისი სულის სიღრმეში აშკარად იკითხება და ვნებანიობს კარისკაცის ფსიქოლოგია.

უთქველი აზრის ალქმის იმეათ დეტალებს ამუშავებს მწერალი გრაფი სეველისა და მუშნი ზარანდიას საუბრის იმ მონაკვეთშიც, რომელიც უშუალოდ დათა თუთაშხიას უკავშირდება. მუშნი ამბობს: –“მე იმ პრინციპით ვხელმძღვანელობ, რომ ნამდვილმა ადამიანმა ბოროტება არა მარტო უნდა სძლიოს, არამედ სიკეთედ უნდა აქციოს იგი!“

– რა თქმა უნდა, მუშნი, თუკი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება–უპასუხებს სეველი და გულში იტყვის: ცხადი და ნათელი იყო, რომ მან (მუშნი ზარანდია) დათა თუთაშხიას უკვე დაუგო რაღაც ჯოჯოხეთური ხაფანგები“.

უთქველი აზრის ალქმის შემდეგ საიდუმლოდ ნათქვამის ქვეტექსტებში ამოკითხვის ხერხს გვთავაზობს მწერალი. ამისათვის სეველის მოგონებებში ასეთი დეტალია ხაზგასმული: „უნინ–იგონებს გრაფი სეველი–თუ იგი (მუშნი ზარანდია) ჩემთანაც კი, ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რის თქმაც საქმისათვის იყო საჭირო (და არა, ვთქვამ, იმას, რის თქმაც შეიძლებოდა, ან მით უმეტეს–რის თქმითაც დაშავდებოდა), ახლა ლაპარაკობდა ბევრს, დაუზარებლად, თითქოს ყველაფერს და, ამასთან ერთად არაფერს ლაპარაკობდა–რა თქმა უნდა პროფესიის ნიუანსებში ღრმად ჩაუხედავი მსმენელის გულსყურისთვის არაფერს. სხვა სიტყვებით: ის, რის თქმაც მას სურდა, ნათქვამის ქვეტექსტში უნდა მეძებნა“.

რომანში „დათა თუთაშხია“ მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი მრავალ მოსაზრებას გვთავაზობს ისეთს, რითაც უხვად უნდა სარგებლობდეს მეცნიერება აღზრდის შესახებ. ერთ–ერთი ასეთი პედაგოგიური პრობლემა მთლიანი პიროვნების თემაა. ვინ არის მთლიანი პიროვნება? მწერლის შეხედულებით მთლიანია პიროვნება, ვინც ერთნაირად ავლენს დადებით და უარყოფით თვისებებს. რომანში პერსონაჟ კლასიონ კვიმასაძის მაგალითზე არის განსახიერებული სრული პიროვნების სახე. „მთლიანი პიროვნება, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ასეთად მიმაჩნია კლასიონ კვიმასაძე–ნათელი იყოს მისი ხსოვნა–მთლიანი იმიტომ, რომ ყველა ადამიანურ თვისებას ერთნაირად, თანაბარი სიმძაფრით ავლენდა ყველა თვისებას–მეთქი და, მათ შორის უარყოფითი თვისებებსაც“.

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ კარგი უნივერსიტეტია ახალგაზრდობისათვის (და არა მარტო ახალგაზრდობისათვის), ვისაც სურს ცხოვრებისათვის მოემზადოს საიმედო ცოდნით ცხოვრების შესახებ.

ლი, გათითოკაცებული, ყოფილი ერი ვართ“– ამბობს რომანის პერსონაჟი. ამით მწერლის მიზანი ცხადად გამოისახა: –ქართველი კაცის ზნეობრივი ამაღლების საფუძველი სამშოლოს თავისუფლება და კაცობრიობის ისტორიაში მისი კანონიერი ფუნქციის აღდგენაა.

ინტელიგენციის ეროვნული მისია კიდევ უფრო შთაბეჭდავდა არის გამოხატული ადვოკატ ირაკლი ზურციძის ოჯახში გრაფი სეველის მოულოდნელი სტუმრობის ეპიზოდში. ამ შეხვედრის ლაიტმოტივი თეზისი „სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, ადამიანის გამაბოროტებელი საწყისია“. ლაპარაკია იმპერიულ სახელმწიფოზე, რომელიც სხვისი მიწების დაპყრობის, მიტაცება–მითვისების გამო იწოდება იმპერიულ სახელმწიფოდ. იმპერიული სახელმწიფოს მიერ წარმოებული დაპყრობითი ომის მამოძრავებელი ძალა სიძულვილი, გაბოროტება და მომხვეჭელური სულია. შესაბამისად, ადამიანში ამ მძაბული თვისებების აღქმა–გაღვივება, პიროვნების ჭეშმარიტი დანიშნულების რღვევა იმპერიის ბუნებიდან მომდინარეობს. ხოლო პიროვნება, რომელიც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძობა სხვა თვისებებს სჭარბობს, შეუძლებელია არ იყოს იმპერიისა და მისი კანონების აქტიური მონინააღმდეგე... დათა თუთაშხიასთანაც კაცები იმპერიისათვის უაღრესად საშიში არიან.

საყურადღებოა, რომ ამგვარი განზოგადებებისა და დასკვნების მოსმენამ კავკასიის ჟანდარმერიის უფროსი გრაფი სეველი კი არ დაუპირისპირა ინტელიგენციას, მასზე ზემოქმედების ხერხებს და „ჭკუის სწავლებას“ კი არ მიმართა, პირიქით, ანგარიში გაუწია ინტელიგენციის ნიაღში დაბადებულ შეხედულებებს და კმაყოფილმა განაცხადა: „ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბების მოწმენი და მონაწილენი ვართ“.

მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ამ ეპიზოდით საუკუნის პრობლემას ეხმაურება–პატივი ცვთ და დავაფასოთ მოაზროვნე არისტოკრატია, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემოქმედს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხების გადანყვეტისა და მოგვარებისათვის.



გონისა და გულის საზრდო

რევან ბალანჩივაძის „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“ (რედაქტორი პროფ. გიორგი მათიაშვილი) წინასიტყვაობისა და ექვსი განყოფილებისაგან შედგება. წინასიტყვაობას ავტოპორტრეტის ფუნქცია აკისრია. ამ პორტრეტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ავტორის დამოკიდებულება ადამიანებისადმი და იგი ასე არის გამოქვეყნებული ავტოპორტრეტში: მაგრამ „ნიგნში არ არის არცერთი კრიტიკული წერილი. თუკი ოდეს-მე ვინმეზე რამე დამინერია, მხოლოდ დიდი სიტოთი და სიყვარულით. ადამიანის გინება, როგორც ამბობენ, „ჩემი პროფესია“ არ არის. მე მიყვარს ყველა ის ადამიანი, რომელზეც ვწერ. ამიტომაც ვწერ მათზე გულადად, ალადად, იმის სურვილით, რომ მეგობარს, ან უბრალოდ ნაღვ ქართველს მივულოცო კარგი წიგნი, კარგი ფილმი, კარგი სპექტაკლი, კარგი სტატია, საიუბილეო თარიღი, ან უბრალოდ დაბადების დღე...“.

ნიგნის პირველი ნაწილი—ღვთივეურთხეული ადამიანი—სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 25-ე წლისთავს ეძღვნება. მოკლედ და კონკრეტულად არის დახასიათებული ის კრიტიკული სიტუაცია, რაც საქართველოში არსებობდა ილია მეორის აღსაყდრების წინ. ეს იყო ღრმა სულიერი კრიზისის, ურწმუნობის, დანგრეული ტაძრების საქართველო. „ასეთი კრიტიკული სიტუაციაში მოვიდა ქართული ეკლესიის მესაჭედ ილია მეორე, ეს საოცრად ღვთისნიერი ადამიანი, უაღრესად განათლებული და დახვეწილი გემოვნების ინტელიგენტი... მოვიდა, რათა აღედგინა ადამიანური ადამიანური, მოეხდინა მისი ზნეობრივი კათარზისი, ჩაენერგა ყოველ ქართველში ქრისტიანული რწმენა, დაებრუნებინა მრევლი ეკლესიისათვის, რადგან კარგად იცოდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობამ ისხა ქართველობა“.

თანამედროვე თვალსაზრისით პრინციპული საკითხებია განხილული ნაშრომში „მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთმიმართების პრობლემა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებისა და ქადაგებების მიხედვით“. ავტორი იწყებს იმით, რომ რელიგიური რწმენასა და მეცნიერულ ცოდნას ურთიერთსაპირისპირო ცნებებად მოიაზრებს მეცნიერთა ერთი ნაწილი და სვამს კითხვას: მართლა უპირისპირდებიან ისინი ერთიმეორეს თუ, პირიქით, გულისხმობენ და ავსებენ ერთმანეთს? ნაშრომში სწორად არის განსაზღვრული განსხვავება მეცნიერებასა და რელიგიას შორის: „ის, რაც შედის რწმენაში, ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელია და გაუგებარი“. მაგალითად, ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელია სამყაროს უსასრულოობა, დაუსაბამობა დროსა და სივრცეში, უსასრულობის შესახებ კი შეუძლებელია გავაჩნდეს დასრულებული, ჭეშმარიტი ცოდნა. სამყაროს უსასრულობა და დაუსაბამობა დროსა და სივრცეში სასწაულია, რომელსაც მეცნიერება ვერ შეისწავლის. სასწაულები (ღვთის არსებობა, სულის უკვდავება, მაცხოვრის დაბადება, მაცხოვრის აღდგომა და ამაღლება) რელიგიური რწმენის სფეროა; ილია მეორის ქადაგებებში, განსაკუთრებით 1995 წლის სააღდგომო ეპისტოლეში,

საფუძვლიანად არის დახასიათებული მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის აუცილებელი ურთიერთკავშირი. მაგალითად, დამაჯერებლად არის დამტკიცებული, რომ მორწმუნე, მაგრამ გაუნათლებელი ადამიანი ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს რელიგიური ფანატიზმის ტყვეობაში. პროფ. რევან ბალანჩივაძე მკითხველის ყურადღებას მიიქცევს ილია მეორის მიერ შემოტანილ განმარტებებს მეცნიერული და რელიგიურ ჭეშმარიტებათა აღსანიშნავად ილია მეორე ხმარობს ტერმინს „ფაქტის ჭეშმარიტება“, ხოლო მეცნიერული ჭეშმარიტებისაგან განსხვავებით რელიგიურ ჭეშმარიტებას უმაღლესი ჭეშმარიტება ეწოდება. მაშასადამე მეცნიერულ ცოდნასა და რელიგიურ რწმენას შორის საერთოა ის, რომ ერთმანეთს საბოლოო მიზანი ჭეშმარიტებამდე მისვლაა.

წერილების პირველ („მაღლი თქვენს გამჩენს“) და მეორე („მოგონებები გარდასულ დღეთა“) განყოფილებებში ლაპარაკია „სანთელივით სუფთა“ მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ავტორი მათ შესახებ წერილებს ანბანის მიხედვით ალაგებს, სულ 48 ღირსეული ქართველის პორტრეტი შემოგვცქერის ნიგნის ფურცლებიდან. თითოეული მისალმება თუ მოგონება დაწერილია ისე, ისეა წარმოჩენილი ცნობილი პიროვნებები, „თქვენ რომ არ იცნობდით ამ კუთხით“. ამიტომ სამართლიანი ვიქნებით, თუ დავესხვებით ავტორს და თინათინ ელბაქიძის ნიგნზე „ჩემი კუნძული“ გამოთქმულ შეფასებას მივუბრუნებთ მასვე და ვიტყვით, რევან ბალანჩივაძე ფილოსოფიური თვალსაზრისით, არსში წვდომის ხელოვნებით წერს გამოჩენილ ადამიანებზე. ნიგნის ამ წერილებს კარგად ესადაგება ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის ეს სიტყვები: „მეგობარო, ეს არ არის ნიგნი. ხელი ახლე და კაცს შეეხები“. თავის დროზე მოღვაწეების შესახებ ასეთი წერის ტრადიციას საქართველოში ამკვირებდა ცნობილი იოანე მეუნარგია. მისი ორიტორიული „ქართველი მწერლები“ დღემდე ობოლ მარგალიტად რჩებოდა. პროფ. რევან ბალანჩივაძე ახალი ფორმით და ახალ სიმაღლეზე ალაგგენს ამ კარგ ტრადიციას. მაგალითად, ნიგნის პირველ და მეორე განყოფილებებში მოსალოდნელი იყო ინფორმაციის (მოგონებების) სიჭარბე. ავტორმა წარმატებით დასძლია ფანრიისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობანი და მისალმებებიცა და მოგონებებიც დაწერილია ანატილიკური აზ-

როვნებით. ჭეშმარიტად უკვდავია საქართველო, რომელიც ერთდროულად (ერთ საუკუნეში) ამდენი საისტორიო კაცის აღმზრდელი და დამფასებელია. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება მესამე (განხილვა-პრეზენტაციები) და მეხუთე (რეცენზიები) განყოფილებებში.

განსაკუთრებული ძალით არის დანერგილი მეოთხე განყოფილებაში წარმოდგენილი წერილები „ადამიანის პრობლემა ანტიუან დე სენტ ეგზიუპერის შემოქმედებაში“, „საშუალო ადამიანის „აღზევება“, „ქართული ეროვნული ცნობიერების კრიზისი“ და სხვ. ვინ არის „საშუალო ადამიანი“? — სვამს კითხვას პროფ. რევან ბალანჩივაძე და აზუსტებს: საშუალო ადამიანი არამც და არამც საშუალო სქესის არ ნიშნავს. ეს არის ადამიანის გარკვეული ტიპი და არა საზოგადოების ის ფენა, რომელიც მდიდარსა და ღარიბს შორის თავსდება და საშუალო ფენად იწოდება. ლაპარაკია ადამიანის ისეთ ტიპზე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ინტელიგენციისაგან განსხვავებით, არსებობდა შეუმჩნეველად, სხვათათვის ნაკლებად შემანუხებლად და რომელმაც დღეს საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში ნაწყვანი, გაბატონებული ადგილი დაიჭირა. დღეს ადამიანის ამ ტიპმა, — შენიშნავს პროფ. რევან ბალანჩივაძე, — მოიცვა ყველა და ყველაფერი და, პირველ რიგში, დაუპირისპირდა ჭეშმარიტ ინტელიგენციას, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე

„ერის სულიერ წინამძღოლობას კისრულობდა“, საზოგადოების ჭკუის დამრიგებლად და სწორი გზის მაჩვენებლად მიიჩნეოდა. „საშუალო ადამიანმა“ კი დღეს ეს ინტელიგენცია იმდენად შეავიწროვა, იმდენად მიიმწყვდია კუთხეში, რომ ღამის უფუნქციოდ დატოვა, ხოლო მისი ადგილი თავად დაიჭირა.

„საშუალო ადამიანის“ არსში ღრმად გაცნობიერების მიზნით ავტორი მრავალ საყურადღებო ანალოგიას მიმართავს. „საშუალო ადამიანებისაგან“ შედგენილი „ადამიანი-მასისაგან“ ანუ უპიროვნო, უსახო არსებებისაგან შედგენილი მასა რომ არაფერს წყვეტს ისტორიაში, მას რომ არ გააჩნია საზოგადოებრივი ნინსვის სწორი ხედვა და მყარი ორიენტირები, პროფ. რევან ბალანჩივაძის შეხედულებით, ძალიან კარგად არის ნაჩვენები „ახალ ალტემაში“. მათეს სახარებაში (2.1.9-10) აღწერილია მაცხოვრის დიდი შესვლა იერუსალიმში. ხალხი ზარ-ზეიმითა და სიხარულით ხვდება მას. ხოლო სულ რამდენიმე დღეში იგივე ხალხი მთელი ხმით გაჰყვიროდა „ჯუჟარს ეცუნ“. „ახალი ალტემის“ ამ ეპიზოდთან, დასკვნის ავტორი, — კარგად ჩანს, თუ რამდენად არამყარია, უპრინციპო და

უორიენტაციო საშუალო ადამიანებისაგან შედგენილი ხალხთა მასები, როცა მას ჭეშმარიტი ინტელიგენცია არ მართავს.

სამშუახლოდ, შენიშნავს პუბლიცისტი რევან ბალანჩივაძე, დღევანდელ საქართველოში სწორედ ამგვარი „ადამიანი-მასის“ მოჭარბებაა საგრძობი და იქვე დასძენს: ეს არაა მანცდამანც ხელისუფლების ბრალი. ასეთი რამ, როგორც ჩანს, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე, ტოტალიტარული რეჟიმისა და ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიულზე გადასვლის თანმხლები პროცესია. ყველაფერი ის, რაც ადრე ინტელექტუალური არისტოკრატის საკუთრება იყო, დღეს „საშუალო-ადამიანის“ ანუ „ადამიანი-მასის“ საკუთრებად იქცა, რაც გახდა მისი გააქტიურების უპირველესი და უმთავრესი მიზეზი... ადრე, იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აღიარება მიეღო, დიდი შრომა, განსაკუთრებული ნიჭი და ტალანტი იყო საჭირო, ახლა სულაც არაა აუცილებელი ოფლის ღვრა და ლამების ტყევა. ახლა მთავარია მეგაფონის ხელში დაჭერა ისწავლო, ადამიანები დარაზიმო, ქუჩები გადაკეცი, მიტინგები მოაწყო, მთავრობა აგინო, ინტელიგენცია ლანძლო, ხალხში პანიკა დათესო, უკადრებელი იკადრო და უვარგისი ცაში აიყვანო... ამ მსჯელობას, პუბლიცისტი ამთავრებს უაღრესად მეტყველი შედარებით: „განა ნატრის მქექავი ყვარყვარე თუთაბერი ასე არ გახდა „დიდი რევოლუციონერი“ და „უძლეველი ჯარის სარდალი?“ მერედა, დღევანდელი „საშუალო-ადამიანი“ რითია ყვარყვარეზე ნაკლები ან უფრო სწორად კი-მეტე“!

წერილი „ქართული ინტელიგენცია და „ადამიანი-მასა“ — გაგრძელებაა წერილისა „საშუალო ადამიანის“ აღზევება“. ავტორი ახალი დეტალებით ამდიდრებს წარმოდგენას „საშუალო ადამიანზე“ და წერს: „საშუალო ადამიანს“ წმინდა უტალიტარულ-პრაგმატული დამოკიდებულება აქვს სინამდვილესთან... მისთვის ჭეშმარიტი მხოლოდ ისაა, რაც სასარგებლოა.

გულის გამაღებელი ფეთქვა იგრძობა წერილის — „ქართული ეროვნული ცნობიერების კრიზისი“ — ყოველ ფრაზაში. ავტორი მსჯელობს გლობალიზაციის მთავარი შტრიხების მიხედვით და დაასკვნის: თუ დემოკრატიაა, მაშინ ამის თქმა უნდა შეიძლებოდა. თუ დემოკრატიაა, მაშინ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ არასოდეს მისი მდგომარეობა ისე სამიში, ისე საგანგაშო, ისე საბედისწერო არ ყოფილა, როგორც დღეს არის. ეს სიტყვები რომ მხოლოდ სიტყვებად არ დარჩეს, პროფ. რევან ბალანჩივაძე გვთავაზობს სამოქმედო პროგრამას (გვ. 316), რომელიც გულდასმით უნდა გაიზაროს მკითხველმა. პუბლიცისტი მოითხოვს, რომ გლობალიზაციის პროცესს ეროვნული იდეოლოგია უნდა შეეგებოთ, ხალხი არ უნდა გაითქვიფოს მსოფლიო მასაში. გლობალიზაცია მსოფლიო პროცესია, მას ვერავინ შეაჩერებს, მაგრამ გლობალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს კულტურას.

კიდევ ბევრი საჭირობოროტო საკითხია აღძრული პროფ. რევან ბალანჩივაძის ნიგნში „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“, რომელიც საქმიანმა მკითხველმა და არა გადამკითხველმა ბოლომდე უნდა წაიკითხოს.

ი. ბიბილიაშვილი

მართლმადიდებელი ეკლესია 23 ნოემბერს წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძღვევაშემოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდანი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით წმინდა გიორგი რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს მხედართმთავარი გახდა.

ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. უფლის შეწევნით მან მრავალი სატანჯველი მოითმი-

ნა, მათ შორის — ბორბალზე გაკვრა. მისი თხოვნით უფალმა მიცვალებული მკვდრეთით ალაგგინა. წმინდანს 303 წელს თავი მოჰკვეთეს.

წმიდა გიორგი 30 წლის ასაკში ეწამა. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძღვევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას ორჯერ დღესასწაულობს: 6 მაისს — წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს — მისი ბორბალზე წამების დღეს. ამ უკანასკნელ დღესასწაულს ქართული ეწოდება, რადგან სხვა ეკლესიებში საქართველოდან გადავიდა.





ჩემი სოფელი (ჩანახატი)

ამჟამად ყველას თავისი სოფელი აქვს, მეც ჩემს სოფელს გავიხსენებ, ძველებურს და მაინც ახალს. რა ვქნა თუ ზოგჯერ დავლანდები კიდევ, სევდა მომეძალება, სევდას მოგონებები ინვესს და ჩემს სოფელთან ყველაფერი კარგი მოგონება მაკავშირებს. სოფელი მოედანა, ეს ჩემი ბავშვობის სოფელია, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ვცხოვრობ. სოფელი თავისი დაუღალავი შრომით, კოლორიტი გურულებით კაპასი დედაკაცებით, ორღობეში მოხანცალე მხარზე თოხგადადებულ ქმრებს რომ მიაყრიან ქოქოლას „ცეცხლი დალიე და ნავით დააყოლე ზედო.“ გურიანში მზეც მთვარალია და რა გასაკვირია ადესამოყვარულ კაცებს ბანცალი შეეპაროთ.

„მთვარალივით რომ ამოგორდა მზემ ცეცხლი რომ არ დალია ეს ცეცხლი არის თუ მართლა გურული ნაღვერდალი“

ასე ამბობს ჩვენი კუთხის დიდი მწერალი ნოდარ დუმბაძე. მისებურად დავიწყებდი სოფლის აღწერას „ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზეული ჩაუდის და მარცხნივ ლაშის ღელე“ მაგრამ პლაგიატობას დამნაშავეებენ, თუმცა მაინც ასე უნდა დავიწყო: ჩემს სოფელს მარჯვნივ სუფსა ჩაუდის და მარცხნივ ბერეყვას ღელე, რომელიც მართლა სასველა ღორჯობით, ფრიტებით და მოთევზავე ბიჭებით.

ჩემი მოედანა ერთი პატარა ვაკეა, ისეთი პატარა რომ ყველა მცხოვრებმა დილით რომ თავი მოვიყაროთ პურის მოლოდინში (სანამ მალაზია გაიღება) ფეხის დასაბიჯებელი ადგილი აღარ იქნება. თუმცა ვიცით ეს და რიგრიგობით დავდივართ პურის საყიდლად). ზემოდან სანისლის მთა დაგვცქერის, რომლის წვეროდან ყოვრლ დილით გვესალმება მზე.

„მზე გურიიდან აჭარაში გადაიპარა აი შეხედე სანისლის მთაზე მიგორავს მალე სოფელში შევალთ ნიქარა, მალე ნიქორა...“

ეს ისევ ნ. დუმბაძის სიტყვებია, რა ვქნა მის გარეშე მუზა არ მემოზიბება. ჩემი სოფლის ცენტრში მალაზია, ბიბლიოთეკა და სპორტული მოედანია. დილიდან საღამომდე სხედან ეგრეთწოდებული „ბირჟავიკები“ „თემოს ცაცხვის“ ძირას და თავს იქცევენ ლაყობით, დიდი მხიარულებათა, გურულები ხომ ჯიბეში ხელას არ იყოფენ ხუმრობისათვის.

ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია სოფელში ჩავიდე და ბებია არ შემომეგებოს ჩვეული ქოთქოთით (სულ შენიშვნას მაძლევს, რა ქნას უნდა რომ კარგი ვიყო). მერე დედამე მიახლოვდება დინჯი ნაბიჯებით, ისე ძუნნად მომეფერება, მამაჩემს მივესიყვარლები, რომელიც სულ მუდამ ვენახში ფუსფუსებს და ერიჰაა... გავვარდები, ჩემი ბავშვობის გიჟმაჟ ტოლებთან. სოფელში ჩასვლა ხომ მშობლიურ ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს. მერე დაღამებისას დაბრუნდები სახლში, აღარც ჭამა მახსოვს, აღარც დაღლა, მერეღა მოვიცილი სახლისთვის.

მერცხალს ისევ ისე გაუკეთებია ბუდე და შრომობს თავგამოდებულად, ისევ წითლად ღლიან მალინის ბუჩქები, ჯარისკაცებით ჩამსკრივებულან პამიდორის ჩითილები, მრიალებს ყანა. სარამოს როცა ფუტკრებიც კი შეწყვეტენ ზუზუნს მსხლის კენწეროზე ჩამოეკიდება ბრინჯაოსფერი დისკო მთვარისა. ცაზე მთვარე ამოდის და მისი ნათელი ედება ყველაფერს, ჩახჩახებს ვარდის ბუჩქები და ვფიქრობ „არაფერია ქვეყანაზე სიცოცხლეზე უფრო მშვენიერი“

დილიდან დაღამებამდე, გაზაფხულიდან დაზამთრებამდე სულ შრომაშია ჩემი სოფელი, შრომობენ და კრიმანჭულობენ, ქეიფობენ და ხუმრობენ ჩემი გურულები. მხოლოდ ზამთარში თუ მოახერხებენ ცოტა დასვენებას, როცა გადათეთრებულია თოვლით არე-მარე. მაშინ ყველა სახლის საკვამურიდან ამოდის კვამლი და ღორის მზვადების სუნი ტრიალებს მიველ მსოფელში. ერთ რამედ ღორს ნისქვილი ნასვლა, თან იქვე ნისქვილის ღარიდან წყალი გადმოდის და საბანაო გაუკეთებიათ გოგო-ბიჭებს. ჩანჩქერიც გადმოდინება და არაფერი სჯობს ზაფხულში მის ქვეშ ჭყუშპალაობას.

ნისქვილის დოლაბის ხმა სოფლის ცენტრში ისმის, ფქვილი მოსდებია მთელ ნიქვილს, ხის კედლებს, კარს, კრამიტის სახურავს შორიდან გაიგონებ წყლის ხმაურს. მრგვალი კოხტად გათლილი ქვები ბრუნავს და ხვიმარში ჩაყრილ სიმინდს ფქვილად აქცევს. მიყვარს ახალდაფქვილი, ჯერ კიდევ თბილი ფქვილის სუნი, ბებია კეცზე რომ გამოაცხობს მთვარისხელა მჭადს იმაზე გემრიელი არაფერია.

კიდევ ორი რამისთვის მიყვარს ჩემს სოფელში ჩავსვლა ჭყინტი სიმინდისთვის და „ჯანჯუხასთვის“ რომელიც ჩემთვის ყოველთვის აქვთ შენახული, თუმცა რად გინდა შენახვა ყველა ეზოში თუ არა, ყველა მეორეში მაინც არის ქათქათა ჩურჩხელები გასაშრობად მზეზე დაკიდული, ეს ერთგვარი ბიზნესია ჩემი სოფლის ქალებისათვის.

თავისებური რიტუალია ჭირიც და ქორწილიც ჩემს სოფელში, ყოველგვარ ამას დიდი რუდუნებით აკეთებენ. ჩემი თანასოფელელები ჭირს-სევეით ვაცობლებენ, ქორწილში კი თავაშვებული ქეიფობენ, საღვერძელოებს იტყვიან და ყანას სცლიან, კრიმანჭულს დააგუგუნებენ მერე კი ორღობეში მიზანცალეებენ. მეორე დღეს ერთმანეთს დასცინიან ყველა დაუცვლელი ყანის გამო.

მაგრამ მე მინდა გავიმეორო იაკობ გოგებაშვილის სიტყვები, ჩემი სოფელი ძლიერ იმის გამო მიყვარს რომ: „იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბღბიერი დღეები ბავსობისა. იქ ვტკებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით. იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი. იქაურ მწვანე ტყე-ველს ალტაცებამი მოყვავდი. იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი, იქვე სასაფლაოზე მარხია ჩემი ძვირფასი ნათესავები.“

ასე მიიპარება დრო ჩემს სოფელში, თაობე-დების სუნი ტრიალებს მიველ მსოფელში. ერთ რამედ ღორს ნისქვილი ნასვლა, თან იქვე ნისქვილის ღარიდან წყალი გადმოდის და საბანაო გაუკეთებიათ გოგო-ბიჭებს. ჩანჩქერიც გადმოდინება და არაფერი სჯობს ზაფხულში მის ქვეშ ჭყუშპალაობას.



ბი იცვლებიან, დრო არ ჩერდება, გაივლის წლები და ჩვენც გავხდებით დედები, მამები, ბებიები და ბაბუები.

მერე მოვლენ სხვები, ჩვენც მოვიგონებენ, სოფელში კვლავ გავარდება თოფი და ბიჭის დაბადებას იზივებენ, მერე ვილაცა ისევ დაწერს ჩვენზე, როგორც მე ვწერ ახლა.

სახლი... ეზო... კარ-მიდამო... სოფელი... ძველისძველი ხეჭეჭური... კაკალი... წვიმა ჩვენი სახლის კრამიტზე... შორს აზი-დული მალაღი მთები... ბოსტანი... ჩემი ტოლი მეგობრები... მეზობლები... ეს არის სამშობლო, აქედან იწყება სიყვარული... მერე მიუყვები შარა გზას და ისევ ნოდარ დუმბაძის სიტყვები მესალმება, „საით მიდიხარ ჩემი სოფლის შარაგზაო და საით მიგყავს ჩემი სოფელი“...

ერთი პოეტის სიტყვებით მინდა დავამთავრო ჩემი პატარა ჩანახატი: „ოდეს ამ მთებზე, ფრთებთა კამკამით უფლის ანგელოზს გადაუვლია ძირს დავარდნია ერთი ზღაპარი დაურქმევია მისთვის გურია“

მარიამ თოდრია



სოსო ლომთაძე

კეთილი, ლეკსით და სიმღერით მდიდარი კაცი სოსო ლომთაძე. მან დიდი მოკრძალებით გადმოგვცა მისი ლექსების რვეულიდან ამოკრებილი რამოდენიმე ლექსი.

პიტარა

გიტარას ხმას რომ აუწყობ, დარდი მიჰყვება ნაივ-ქარს, გულიდან ბნელეთს გადაყვრი ჩამოივრება ხეივანი.

ერთადერთი ხარ, მიმონებ ჩემი ფიქრების გამოქმელი, მეც შენი მეგობარი ვარ, დარდებს მოხდელი სარქველი.

გლმბაცს

ცისმარე დილას ეგებება გლეხი ალიონს, თვალს გადაავლებს ალალი შრომით ნაშენებ ოჯახს, ცოლ-შვილს აღერსით დაუკონის მძინარე თვალებს, და გაუყვება ორღობის გზას ურმის ჭრიალით.

წუთისოფელში გარჯისათვის დაბადებულა, მაგრამ ოფლისღერა საამოა ოჯახისათვის, მისი სიმღერე არის მხოლოდ სინდის-ნამუსი,

მუდამ გულია, შემართული მოყვასისათვის.

უფალს ავედრებს კარმიდამოს, შრომით ავეტულს, წაბლას და ნიშას შოლტს არ ჰკადრებს, მოეფერება, თითქოს ხარებიც გაუგებენ პატრონს საწაფელს, მაღლიერებით გლეხს შრომაში კვერდში უდგანან.

ღმერთო ძლიერო, მიეც გლეხკაცს ღონე და ჯანი, რომ არ მოდუნდეს ჯაფისათვის მისი მარჯვენა, შეილთა სიმრავლეს, პურს და ღვინოს ნუ დაამადლი, შრომით ნატანჯმა რომ არ გათქვას მისი გაიწა.

ჩემი მზის სისარული

ალიონზე შაშვი ვაკატკობს და ჩიტების ჟრამული, მელვიებთა გრძობით სავესე, გული ზდება მხიარული,

აქეთ დედა დაუფუსუსებს, კრუხ-წიწილა დახვევია, მურა წინ და უკან დარბის, მოეფერებას ნაწვევია.

მერე ყველას ევდიბა, არის სრული პარმონია, ზოგი უკრავს გიტარაზე, ზოგის პობიც გარმონია, მეზობლები ჩრდილში სხედან, კარგი პანვის გამკონია. ასე ვხედებით ყველა დილას, აბა მამა, რა გგონია?!

და როცა დღე გაილევა, დამე მოვა იდუმალი, ეძინება დიდ-პატარას, მოხდელია ქვეყნის ვალი, ღმერთო მრავალს შეგაკაგე, დილას, ბუნების

მშვენიებას, ბრდელიაა მზეს, ჩიტთა ჭიკჭიკის და შეილების გამარჯვებას.

„დაბმული აჭარელი ქალები, „დასაბმელი თბილისელი ჟურნალისტი“ და მისი რესპოდენტები

ჩემთვის წარმოდგენილია, როგორ უნდა გძულდეს რომელიმე მხარე საქართველოსი, ისეთი ცილი დასანამო, ანტიქრისტიც კი არ იკადრებს. აღარ შევანუხებ უვიც ნაძირალებსა და ჭკუიდან გადამდგარ ერზაცებს, გნებავთ — პიგმეებს.

საკუთარი თვალეხსაც კი ვეღარ დავუჯერე და ჩემს პატარა გიორგის მივეცი, სიტყვა-სიტყვით ნამიკითხე-მეთქი. საუბარია გავზეთ „ალიაში“ (#88, 11-14 ნომერი, 2011 წ.) დასტამბულ ჟურნალისტ(?) თამარ ოქრუაშვილის ინტერვიუზე, რომელიც აულია ფონდკაცის, (რომელიც, ჟურნალისტის თქმით, 11 წლის წინათ დაარსებულა პატრიარქის ინიციატივით) ხელმძღვანელ მერაბ ხიდაშელი-საგან. ბატონი მერაბი, ამჯერად ძვირფასი თამარის რესპოდენტი, კატეგორიულობით აცხადებს, რომ „აჭარის მალაღმთიან სოფლებში ქალები მონებად მუშაობენ. მე ვიცი, ქალები მონებად მუშაობენ. მე ვიცი, ქალები ქმრებსა და მამამთილებს დაბმულები ჰყავთ და ისე ამუშავებენ ცხოველებივით. ის ქალები სრულყოფილ ბავშვებს ვერ აჩენენ.“

უფალო „ალიას“ რედაქტორო, როგორც ვხედავთ, მართლაც ბნელა საქართველოს დედაქალაქში, თორემ დღის სინათლეში, გნებავთ ნეონის შუქით განათებულ კაბინეტში, ამ სისულელეს დაბეჭდვის ვიზას როგორ მისცემდი?! ძვირფასო ჟურნალისტო, თამარ,

ჩაკლიკის მახიარ

ვთქვათ და რესპოდენტი მართლაც გიჟია, ან პირველადაა საქართველოში და თავი პაპუხების ქვეყანაში ჰგონია, ამ სისულელეს მზვანე მუქს რომ უნებებ, რომელი საუკუნის ჭურში ხიხარ?!

ძვირფასო რესპოდენტო, „თავის დროზე პატრიარქის ინიციატივით დაარსებული“ ფირმის ხელმძღვანელო, ვთქვათ და პატრიარქმა ნაიკითხა ეს სისულელე, მერე რომელ ჯანდაბაში მიდიხარ?! შეიძლება გძულდეს აჭარა და აჭარლები, ეს თქვენი უფლებათაა, მაგრამ ისეთი ცილისნამება, უკეთ რომ ვთქვა, ბლევდი დაახეთქე, უზნეობის ჩარჩოშიც აღარ თავსდება. არა მგონია, საერთოდ ნამყოფი იყოთ აჭარაში, მით უფრო მის მალაღმთიან სოფლებში. გთხოვთ, ძვირფას თამართან ერთად ჩამობრძანდეთ, ნუ შეგე-ნამყოფი იყოთ აჭარაში, მით უფრო მის მალაღმთიან სოფლებში. გთხოვთ, ძვირფას თამართან ერთად ჩამობრძანდეთ, ნუ შეგე-ნამყოფი იყოთ აჭარაში, მით უფრო მის მალაღმთიან სოფლებში. გთხოვთ, ძვირფას თამართან ერთად ჩამობრძანდეთ, ნუ შეგე-ნამყოფი იყოთ აჭარაში, მით უფრო მის მალაღმთიან სოფლებში.

ჯერ ერთი, რომ აჭარელი კაცი (და ქალიც) ღვთაებრივად ოჯახის ერთგული და შრომის-მოყვარეა. ამისათვის მისი დაბმა სულაც არ არის საჭირო და მეორეც, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა ამუშავო დაბმული ადამიანი, სულერთია, ქალი იქნება თუ კაცი?!

აჭარაში, მით უფრო მთიან სოფლებში, ოჯახისა და ქალის კულტია და თქვენ მიერ აფიშირებული ტყუილი, ანომალიასაც კი აღარ ექვემდებარება! ნახევარხუმრობით გეტყვით, რომ დაგენერათ — ქალები აბამენ ქმრებსო, იქნება ვინმე შეგეცდინათ. აჭარლები და მით უფრო მთის სოფლებში, ცოლ-ქმარი ურთიერთპატივისცემის მაგალითით ზრდიან შვილებს. თქვენ მიერ ანონსირებული სიყალბე, ათასწლეულების იქით, მატრიარქატისა და პატრიარქატის ბრძოლის დროსაც კი წარმოუდგენელია. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს უნებელი შეცდომაა და არა შეგნებულად ტალახის სროლა იმ ჭირგამოვლილ მხარეზე, გნებავთ ქართველობაზე, რომელთა ხერხემალზეც თურქულმა სამსა-უკუნოვანმა აგრესიამ მენყერივით გადაიარა.

რატომ არ ამბობთ, რომელ სოფელში ნახეთ მამამთილისა და ქმრის მიერ დაბმული ქალი, იქნებ მათი სახელებიც იცით, რომელ სოფელში ნახეთ არასრულყოფილი ბავშვები?!

თქვენ შეუგნებლად, იქნებ შეგნებულად, შეურაცხავით მეგრელი დედები. აბა დაკვირვებით ნაიკითხეთ კიდევ ერთი ფარგალიც: „საქართველოში ჰყვავის პედოფილია. მახსოვს, 2002 წელს მანქანით დავუდარაჯდით, მეგრელი დედა იყო, თავისი 11 წლის შვილს აქირავებდა.“ თქვენ ამ ანონსირებულ რესპოდენტს რომელი სოფელია?

მალის ყველა მეგრელ დედაზე ავრცელებთ. სინტაგმა „მეგრელი დედა“ მთელ სამეგრელოს შეურაცხყოფაა. უნდა დაგენერათ მისი სახელი და გვარი და არა მეგრელი დედა. არ თქვათ ახლა სახელი არ ვიცოდით, მაშ, საიდან იცოდით, რომ მეგრელი დედა იყო. ამის შემდეგ ინტერვიუში დასმულ მართლაც საგანგაშო ფაქტებს აღარ დაგიჯერებს მკითხველი. გეხსომებათ, „რუსთავი-2-ის“ ეთერში ერთი მკერდასვე ქალბატონი ნუხდა, ქმარი მაიძულეს ცირკთან დავდგე და კლიენტებს მოვემსახურო. იქნებ ცირკთან აბამდა კიდევ. ანომალიაზე საუბრის დროს, დიდი სიფრთხილვა საჭირო. ამ პრობლემას სხვა ფორმით უნდა ვებრძოლოთ და არა მისი საჯარო განსჯა — რეკლამირებით. რატომ არაფერს ამბობთ იმის შესახებ, რომ ეს დასავლური „ღირებულება“?! რომ ეს ძალადობა, გარყვნილობა, უზრდელობა და კიდევ ბევრი რამე, საიდანაა ჩვენში კულტივირებული?! რატომ არ ასახელებთ იმ სამ პარლამენტარს?

ვიმეორებ, „დაბმული აჭარელი ქალები“ თემა თქვენ მიერ შეგნებულად შეთხზული ტყუილია, რითაც შეურაცხავით ჩვენი მხარე. ღმერთის არ გემინიათ, პატრიარქის არ გრცხვენიათ, რა პირითა და ნამუსით შეხვალთ სვეტიცხოვლის, გელათისა და სამების ტაძრებში, თუ მართლაც ანტიქრისტიკები არა ხართ?!

შოთა ზოიძე
ქ.პათუმის. 21/11/2011



აჭარის ხევისბერი

გამოქვეყნდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, მარადი ანასაშვილის ახალი ნიგნი—“აჭარის ხევისბერი“. იგი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის, ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (რედაქტორი გურამ გოგიაშვილი, თბ., 2011 წ.).

„აჭარის ხევისბერი“ დაწერილია მეტოლოგიით — ჰაიდარ აბაშიძე ჩვენი არა მხოლოდ ისტორია, არამედ ცოცხალი თანამედროვეობაა. ჰაიდარ აბაშიძის ბადალი მოღვაწეები მოდიან და აღარ მიდიან. შემთხვევით არ იწყება ნიგნი მთავარი პერსონაჟის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე მითითების გარეშე. ავტორი განგებ არ ასახელებს ამ თარიღებს, თვლის რომ პრობლემა, რომელიც ანუხებდათ მემედ აბაშიძეს, ჰაიდარ აბაშიძეს და მათ თანამოაზრეებს, დღესაც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი და არც გადაიჭრება, სანამ საქართველო, როგორც წარსულში, ისე დღესაც და მომავალშიც მრავალკონფესიური სახელმწიფო იქნება. ამიტომ კომპოზიციურად სწორად არის ნიგნის ანოტაციის ადგილას მწერალი ლევან გოთუას სიტყვები წარმოდგენილი: „დიდი ჰაიდარი მუდამ იქნება ჩვენს შორის, როგორც ძველი ხანძელთაგანი, ეროვნული მთლიანობის, ზნეობის, სულიერი სიფაქიზის და კეთილშობილების დაუშრეტელი წყარო“.

ნიგნი გამოდის „გამოჩენილ ადამიანთა ბედის“ სერიით და გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკითხველთა ეროვნული ცნობიერების ჰაიდარული რწმენით ჩამოყალიბებისათვის. ნიგნის რედაქტორის მწერალ გურამ გოგიაშვილის წერილში „მართალი ნიგნი აჭარელ ხევისბერზე“ ხაზგასმით არის მინიშნება იმაზე, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას კვლავ სჭირდება ისეთი ნიგნი, რომელიც აუცილებლად უნდა პასუხობდეს ქართული სიტყვის დიდი პაპის სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დაუნჯებული საზღვაო სიტყვის დასვინალრებას შინაარსს: „ეს არს ზღვათა მოსინჯვა, რათა ნავი არა შეახეთქონ მეჩქრთა, გინა მდინარესა შინა ბადის დასაბმელი არა იყოს“. რედაქტორი დარწმუნებულია, რომ „აჭარის ხევისბერი“—ს მსგავსი ნიგნებით „ჩვენი აწვნილ—დანწილი და მრავალტანჯული ქვეყანა ყოველგვარ მეჩქრთა გვერდის ავლით შესძლებს გონიერ სვლას“.

ნიგნი დაწერილია აჭარის ტრაგიკული ისტორიის კარგი ცოდნით. ანალოგიურ თემებზე წერის დროს ყოველთვის არის მშრალი ფაქტების, თარიღების

ბის მოზღვაების საშიშროება. ქალბატონმა მარადი ასანიშვილმა წარმატებით დასძლია ეს საშიშროება და შექმნა ნიგნი, რომელიც იძლევა ცოდნას და მკითხველს უქმნის ამაღლებულ განწყობილებას. ამას ავტორი ახერხებს გაცოცხლებული ისტორიული ფონის აღდგენით. ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობის ისტორიულ ფონს ქმნიან მეოცე საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეებთან ურთიერთობა, მათი შეხედულებები და შეფასებები ჰაიდარ აბაშიძის ღვაწლისა. ესენი გახლავთ ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ იმედაშვილი, დომინიკა ერისთავი—განდევილი. იოსებ იმედაშვილი, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, პავლე ინგოროყვა, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, ფრიდონ ხალვაში და სხვები. გიორგი ლეონიძე წერდა ჰაიდარ აბაშიძეს: შენი კალამი პუბლიცისტისა სააკაძის ხმალივით სჭრიდა აჭარაში და ამარცხებდა საქართველოს მოძულეთ... დაე, აჭარის ახალგაზრდობამაც გაიგოს თუ რა გააკეთა ჰაიდარ აბაშიძემ და მის კვალზე იაროს“.

ჰაიდარ აბაშიძემ მოიხვეჭა დიდი საზოგადო მოღვაწის სახელი. ოცი წლის ასაკში ის უკვე ჩამოყალიბებული მოაზროვნე და მეტოქის სახელით სარგებლობდა, ამაზე საინტერესო ისტორიას გაცნობა მკითხველი „აჭარის ხევისბერში“. 1914 წლის 29 მაისს ქუთაისში აკაკი წერეთლის მონაწილეობით ლიტერატურული საღამო გაიმართა. ამ დროს ჰაიდარი ქუთაისში იყო და თეატრის სალაროში ბილეთის ასაღებად მივიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბილეთები დიდი ხნის გაყიდული აღმოჩნდა. ძალიან ბევრი, მათ შორის ჰაიდარიც, უბილეთოდ დარჩა. ეს ამბავი ჰაიდარის ახლო მეგობრებმა ია ეკალაძემ და ილია ბახტაძემ აკაკის აცნობეს. დიდმა აკაკიმ დაუყოვნებლივ მიიღო ზომები და ილია ბახტაძემ ჰაიდარ აბაშიძე შეიყვანა თეატრში და იმ ღოჭაში დასვა, რომელიც აკაკისა და მისი სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. როცა ღოჭაში დაბრუნდა აკაკი ახალგაზრდა ჰაიდარი გვერდით მოისვა და უთხრა, რომ ის ჰაიდარს იცნობდა გაზეთში დაბეჭდილი წერილებით, ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილისა და გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორის ნამშობობით. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი იქნებოდა იმ დროს 21 წლის ახალგაზრდა ამ დიდი ადამიანის ასეთი ყურადღებით.

ახლა ჰაიდარ აბაშიძის „წერილებს“ კარგად იცნობს მკითხველი. იგი პირველად 1963 წელს გამოსცა ხარიტონ ახვლედიანმა და შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გამოიცა. ამ წერილებში იკითხება ქართველ მამულიშვილთა ბრძოლა პანთურქისტებისა და პანისლამისტების წინააღმდეგ და ქართული ჟურნალისტიკის ოქროს ფონდში შესული წერილი: როგორ გავიგე, რომ მე ქართველი ვარ“. დღემდე რჩება ერთ ხალხში ეროვნებისა და სარწმუნოების არსში გარკვევის, სარწმუნოებაზე ეროვნების მაღლა დაყენების აუცილებლობისათვის კლასიკურ ნიმუშად.

„აჭარის ხევისბერში“ განსაკუთრებული ინტერესს იწვევს შოთა რუსთაველის სადაურობის საკითხი: ცნობილია, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი შოთას კახეთის ჰერეთის მკვიდრად მიიჩნევს. მეორე, დიდი ნაწილი კი მესხად. ჰაიდარ აბაშიძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი პირობების გათვალისწინებით პავლე ინგოროყვას შეხედულებების საწინააღმდეგოდ ბეჯითად იცავდა რუსთაველის მესხობის თემას და მიაჩნდა, რომ იგი ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების სულიერი ერთობის განმტკიცების დიდი ძალა იყო. ეს იყო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის მზადების წლებში. ჰაიდარ აბაშიძე ასაბუთებდა, რომ რუსთაველის ზეიმი აუცილებლად მესხეთ—ჯავახეთში გამართულიყო. ჯანსაღმა ეროვნულმა იდეამ გაიმარჯვა და ეს დიდი იუბილე ისე ჩატარდა, როგორც ჰაიდარ აბაშიძე მოითხოვდა.

რა დასკვნამდე მიჰყავს მკითხველი „აჭარის ხევისბერს“?

პირველი: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე და მათი თანამოაზრეები ზია აბაშიძე, სულიმან დიასამიძე, სულიმან ბეჟანიძე, ხასან თხილაიშვილი, ყედირ შერვაშიძე, იუნუს ნულუკიძე, იუსუფ ქათამაძე, ჯემალ ნოლაიდელი, გულო—ალა კაიკაციშვილი და სხვები დედასა—ქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში ქმნიდნენ ენისა და ეროვნების ფაქტორებზე დამყარებული ეროვნული ცნობიერების აღდგენისა და განმტკიცების იდეოლოგიას.

მეორე, მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე და მათი თანამოაზრეები სიტყვის საქმედ ქცევის ადეპტები იყვნენ. ისინი არა მარტო უქადაგებდნენ ხალხს ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის განსხვავების, სარწმუნოებაზე ეროვნების მაღლა დაყენების აუცილებლობის შესახებ, არამედ პირადი



აჭარის ხევისბერი

მაგალითითაც შთააგონებდნენ თანამედროვეთ ეროვნული ღირებულებების დაცვა—დაფასებას, თუნდაც ამას თითოეული მოღვაწისაგან პირადი ბედნიერების მსხვერპლად შეწირვა მოეთხოვა. მემედ აბაშიძემ და ჰაიდარ აბაშიძემ მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაიღეს იმისათვის, რომ ქმედითი წინააღმდეგობა გაენიათ აჭარაში მოძალეული პანთურქისტებისა და პანისლამისტებისათვის და დაეცვათ აჭარის მკვიდრის ეროვნული ცნობიერება დამახინჯებისაგან.

მესამე, ქართულმა ისტორიოგრაფიამ და მწერლობამ ღირსეულად დააფასა მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ღვაწლი საქართველოს სულიერი ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის. ბევრი ნიგნი დაიწერა მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ღვაწლის უკვდავსაყოფად. მაგრამ მათი ღვაწლის ცალკალკე წარმოდგენა ვერ გვიქმნის სრულყოფილ ობიექტურ წარმოდგენას ამ ორი ბუმბერაზი, ლეგენდარული მოღვაწის ჭეშმარიტად ისტორიული დამსახურების შესახებ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამიერიდან გამთლიანდეს მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ერთდროული (ისინი გვერდიგვერდ იდგნენ ერთიანი საქართველოს სამსახურში) მოღვაწეობით შექმნილი ისტორია და ბათუმში დაიდგას ერთ კომპოზიციამდე გამოსახული მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ძეგლი, იმავე იდეოლოგიით, როგორც გახლავთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ჯგუფური ძეგლი თბილისში რუსთაველის გამზირზე.

მეხუთე, მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის მონუმენტურმა ძეგლმა ყოველდღე უნდა შეახსენოს ახალგაზრდობას, რომ ჩვენ იმ ტაძარში ვლოცულობთ, რომელსაც საქართველო ჰქვია.

ი. ბიბილიაშვილი

კაპანდობი თუ კაპნისძირი?

ადგილის სახელი, ანუ ტოპონიმი ადგილის პასპორტია. ზოგიერთი ტოპონიმი ამ „პასპორტში“ დამახინჯებულია, მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც. ამას ჩადიოდნენ უცხოელი დომპრობელი სახელმწიფოები ადგილის მიტაცების შემდეგ. ტოპონიმებს თარგმნიდნენ საკუთარ ენაზე და მიტაცებული ადგილს მიიჩნევდნენ თავიანთი ქვეყნის ნაწილად.

მხედველობაში გვაქვს ხელვაჩაურის რაიონში არსებული ორი ტოპონიმი: კაპნისთავი და კაპნისძირი. თითოეული მათგანი შედგება ორი სიტყვისაგან: კაპანი და თავი (პირველ შემთხვევაში), კაპანი და დიბი (მეორე შემთხვევაში).

სიტყვა კაპანი ქართულია და ნიშნავს მთის, მაღლობი ადგილის კლდის ფერდს. მართლაც სოფელი, რომელსაც, კაპნისთავი დაერქვა, გაშენებულია კაპნის თავში, მის ზედა ნაწილზე. ტოპონიმი სემასიოლოგიურად, შინაარსობრივად გამოხატავს ტოპონიმით გამოხატული ტერმინის შინაარსს. ანალოგიურად მეორე ადგილი, რომელსაც ჩვენმა წინაპრებმა უხსოვარ დროში დაარქვეს კაპნისძირი, მდებარეობს იმავე კაპნის ბოლოში, ძირში, სადაც კაპანი (მთის კლდისანი

ფერდი) მთავრდება და იწყება კოლხეთის დაბლობის გაგრძელება კახაბრის ვაკე. ეს პუნქტი აჭარისწყლის ხეობაში გამავალი ბათუმი—ახალციხის ცენტრალური გზატკეცილის თვალსაჩინო ადგილია. ამიტომ ოსმალებმა ეს ტერმინი „გაათურქულეს“, მაგრამ სრულად ვერ შეძლეს, ნახევრად კი. კაპანი დარჩა უცვლელად, ძირი იქცა დიბად (დობი თურქულად ძირს ნიშნავს) და მიიღეს გათურქებული კაპანდობი.

აჭარის უცხოელთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ ასეთი ბევრი

შეცდომა გამოსწორდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დარჩა ზოგიერთი შესაცვლელი: კაპანდობი თუ კაპნისძირი? რომელია ეროვნული, ქართული? რა თქმა უნდა, კაპნისძირი. აქ დიდი სირთულე არ არის, უბრალოდ ტრაფარეტი (წარწერა) უნდა შეიცვალოს და კაპანდობის ნაცვლად დაინეროს კაპნისძირი.

თხოვნით მივმართავთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დაინტერესდნენ ამ საკითხით, სათანადო სამსახურს დაავალონ ამ საქმის მოგვარება თვალშისაცემი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად.

პროფესორი სერგო ღუშუბაძე
25 ნოემბერი, 2011



მსირაიშიან სასოფლო მეწარმეთა, მაღალრენტაბელური საწარმოო ტექნოლოგიების და სოფლის პროდუქციის მარკეტინგის ჯგუფების ორგანიზება

მიმდინარე წლის ზაფხულში ქართველ მეცნიერთა და მენარმე-ფერმერთა ჯგუფი იმყოფებოდა პოლონეთის ქალაქ მორბორკის – სწავლებისა და კონსულტაციის ცენტრში, სადაც ორი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარების პერსპექტივებს. სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენთვისაც პრიორიტეტია და ამ მიზნით კომენტარი ვთხოვეთ მეცნიერთა და მენარმე-ფერმერთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ზურაბ მანველიძეს:

როგორც მოგეხსენებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცირემნიშნის სასოფლო მეწარმეთა მიერ წარმოებული პროდუქცია, ან სასურსათო პროდუქტის დასამზადებლად გამოყენებული ნედლეული, უმეტესწილად, სუფთა, ბუნებრივი გარემოდან მოიპოვება; შესაბამისად ეკოლოგიურად სუფთაა, მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანია არა მარტო რეგიონის საკურორტო და ურბანული ზონებისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ რეგიონისათვის დამახასიათებელი მთა-გორიანი პირობების, მაღალი დემოგრაფიული სიმჭიდროვის და ამავდროულად სახნავ-სათესი სავარგულების უკიდურესი სიმცირის პირობებში მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქცია – განსაკუთრებულ სოციალურ დატვირთვას იძენს და შესაბამისად, განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების და მარკეტინგის მხარდაჭერი პროგრამების ამოქმედების სახით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებებს მცირემნიშნის სასოფლო მეწარმეთა, მაღალრენტაბელური საწარმოო ტექნოლოგიების და სოფლის პროდუქციის მარკეტინგის ჯგუფების ორგანიზების შესაძლებლობებთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე. კერძოდ:

ერთგვაროვან ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში მოქმედი ცალკეულ მეწარმეთათვის საჭიროდ მიგვაჩნია ორგანიზაციის გარკვეული ფორმა ერთობლივი წარმოების უზრუნველსაყოფად, პირობითად - დარგობრივ ასოციაციაში გაერთიანების ან რომელიმე სხვა მარტივი ლეგალური ფორმის სახით, რომლის მთავარი მნიშვნელობა

მდგომარეობს ერთობლივ გადაწყვეტილებებში, ერთობლივ ვაჭრობაში და ერთობლივ წარმატებაში.

ასეთმა ორგანიზაციამ ყოველ წელს უნდა განსაზღვროს თითოეული ოჯახის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, შეადგინოს სამუშაო დროის გეგმა წარმოების, მოსავლის მიღების, შენახვის (ან შენახვა-გადამუშავების), ტრანსპორტირების და რეალიზაციის შესახებ. მოგვიანებით, ორგანიზაციამ უნდა გადაუხადოს ოჯახებს დამზადებული პროდუქტის შესაბამისი თანხა.

ამდგვარი ასოციაციების (ან გაერთიანებების) შექმნის მიზნებია:

- პროდუქციის წარმოების თანამედროვე ცოდნის ერთობლივად გამოყენება
- ერთობლივად კარგი მასალებისა და ინვენტარის გამოყენების შესაძლებლობა
- ერთობლივი ინტერესების წარდგენა ასოციაციის მეშვეობით
- მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება ერთობლივად
- წარმოების, დოკუმენტირების და რეალიზაციის ერთობლივად გაუმჯობესება



- კარგი კოორდინაციის მეშვეობით ასოციაციის წევრებსა და სხვა დარგობრივ ორგანიზაციებს შორის, ცოდნისა და გამოცდილების მუდმივად კარგი დონის უზრუნველყოფა
- და სხვა. . . .

ამავე დროს, ამგვარ ასოციაციების წევრებს უნდა გააჩნდეთ კონკრეტული ვალდებულებები:

- ერთობლივი ინტერესების აქტიური ხელშეწყობა
- ასოციაციის მიერ დადგენილი სტანდარტის დაცვა პროდუქტისათვის
- დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლა მონაცემების მიხედვით
- ერთობლივი რეალიზაციის აქტიური მხარდაჭერა
- და სხვა. . . .

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა შეიქმნას მარკეტინგის სამსახური, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ასოციაციის დამზადებული პროდუქტის რეალიზაციაზე იქნება გათვლილი.

ყველა ამ პროდუქტისათვის, უნდა შემუშავდეს რეალიზაციის ერთიანი სტრატეგია, მოიძებნოს და მოზიდულ იქნეს მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფი. რეალიზაცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც იგი მომხმარებელზეა ორიენტირებული. მარკეტინგს უნდა გაუძღვეს ერთი ან რამდენიმე პიროვნება, რომელთაც ხელეწიფებათ საქმის ცოდნით, დამაჯერებლად წარმოაჩინონ პროდუქტი, მისი წარმოშობა და მისი მწარმოებელი ფერმერთა ასოციაცია, ასევე რეგიონის თავისებურებები, აქმცხოვრები ადამიანები და მათი კულტურა.

შემოთავაზებული წინადადების პერსპექტივა მდგომარეობს იმაში, რომ საფუძველი ჩაეყრება რეალურ შესაძლებლობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დარგობრივი ასოციაციების ევროკავშირის რომელიმე მონიწივე ქვეყნის მსგავს დარგობრივ ასოციაციასთან დაახლოებას (დამეგობრებას), რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების დონის ტექნიკურად და ტექნოლოგიურად გამართული სამოდელო მეურნეობების ამოქმედებისათვის სათანადო დაფინანსების მოძიებას და ადგილობრივი პროდუქციის საერთაშორისო სავაჭრო ქსელში ჩართვას.



- და სხვა. . . .
- ამგვარ ასოციაციებს მიზნების რეალიზაციისათვის უნდა გააჩნდეთ კონკრეტული ამოცანები:

- ლექციების, სწავლებისა და გადამზადების მეშვეობით ფერმერებისათვის თანამედროვე, კარგი ცოდნის მიცემა აგროტექნოლოგიების შესახებ
- ერთნაირი, მაღალხარისხოვანი პირობების შექმნა სტანდარტული პროდუქციის წარმოებისათვის
- მეცნიერების და მეცხოველეობის საჯიმე გენოფონდის გადახალისება-დანერგვა
- თანამედროვე მონოპოლიზაციისა და მცირე მასალების შექმნით მეურნეობის ეფექტური გაძლიერება
- მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის მეშვეობით ჯანსაღი პროდუქციის წარმოებისათვის წარმატებული პირობების შექმნა
- კარგი სახელის (იმიჯი) შექმნა მაღალხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაციით

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე
საუბრალობის:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლაჟი:
იური ბიბილიაშვილი
ბიჭიკო დინასიძე
ამაია ფალავა
ნანა ცხატარაძე
მერაბ მებრედიანი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „პრაპრინტში“
[532] 293-46-14, 299-98-82
მის: ქ.თბილისი
რუსთაველის 40-40ა